

„ადამიანი ფიქრია“

ავტორი: თამარ კიკვიძე

(შედგენილი და წარმოდგენილია „თუმანიშვილის ფონდის“ მიერ გამოცხადებული კონკურსისთვის - „ახალი ქართული პიესა 2021")

საკონტაქტო ინფორმაცია:

ელ.ფოსტა: tamar.kikvidze@yahoo.com;

მობ.: (+995) 599 268 928

სარჩევი

შესავალი.....	2
„ადამიანი _ ფიქრია“	3

შესავალი

სცენარი აგებულია მწერალ ყარამან კიკვიძის ნაწარმოებების _ პროზისა და პოეზიის, საბავშვო მოთხრობების, წერილების, დღიურების, ამონარიდების, სენტენციების და ყარამანის შესახებ გამოთქმულ სხვადასხვა მწერლის, თუ კრიტიკოსის მოსაზრებათა მიხედვით.

სცენარი აგებულია ამ შემადგენელი ნაწილების მუდმივ მონაცვლეობაზე.

გულისხმობს სპექტაკლის ე. წ. „Reader“-ის _ კითხვით-თხრობით ფორმას, მუსიკალური გაფორმებით, 4 მსახიობის მონაცვლეობითი მონაწილეობით.

დეკორაციით _ წიგნების კარადებით, საწერი მაგიდით, ხელის საბეჭდი მანქანით, საქალაქლებით, ფურცლებით, სავარძლით, ტახტით და ა. შ. _ სასურველია შეიქმნას მწერლის ოთახის ვიზუალი.

სცენარი მიზნად ისახავს მწერლის სულიერი და შემოქმედებით პორტრეტის შექმნას მისი განცდების, საკუთარ თავთან ბრძოლის ჩვენებით, მის წარმოდგენას იმ პერიოდის სოციალურ გარემოზე, რაც მთავარია, მისი მდგომარეობის _ მისი უწყვეტი ფიქრის ჩვენებას.

„ადამიანი _ ფიქრია“

I მსახიობი:

.....

მე ძალიან ბევრს ვფიქრობდი, რაღაცას ვეძებდი, რაღაცას არ ვთმობდი, რაღაცას ვებრძოდი და ალბათ, ამ ბევრმა ფიქრმა გადამარჩინა.

II მსახიობი:

.....

ვინც პირველად დახატა „0“ და გაიფიქრა მზეაო, ისიც ისეთივე გენიოსი იყო, როგორც, ვთქვათ, უდიდესი ალმ Wომჩენი. მასაც იგივე გრძნობა დაებადა „გაუგებრობისა“ და „აუღიარებლობისა“, როგორც გენიოსებს.

(კითხვა-პასუხი გადანაწილება I და II მსახიობს შორის): ინტერვიუ საკუთარ თავთან

- რომელ მწერალს სცემთ თაყვანს?
 - არის მწერალი, რომელსაც მე პატივს ვცემ. თაყვანისცემა ჩემთვის გაუგებარი ცნებაა. ღვთაებრივი და საკვირველი მწერალი ჩემთვის არ არსებობს. ყველაზე დიდი მწერალიც კი ჩემთვის არის, უბრალოდ, ძალიან ჭკვიანი და ძალიან ნიჭიერი ადამიანი.
- მაშასადამე, თქვენი თავიც ასეთებს შორის მიგაჩნიათ?
 - პოტენციით კი. პოტენციას გამოვამჟღავნებ თუ არა, ეს დროის საქმეა. თუ ვერ გამოვამჟღავნებ, მოვკვდები გაბედულ ადამიანად, რომელსაც თავისი თავის ბოლომდე სჯეროდა.
- არის თუ არა საქმე, რომელიც თქვენს ძალას აღემატება?
 - ასეთი კეთილი საქმე არ არსებობს. თუ აღემატება, მხოლოდ იმიტომ, რომ ამის დასამტკიცებლად დრო მენანება.
- რომელ მწერალს სცემთ პატივს?
 - ყველას, ვისაც კი სათქმელი გააჩნია და ამ სათქმელს ტაქტით და გემოვნებით გადმოსცემს.
- რა გზიბლავთ მწერლის?
 - თქმა იმისი, რისი თქმაც უკეთესად წარმოუდგენლად მიმაჩნია.
- ყველაზე მეტად რა გიყვართ მწერლობის შემდეგ?
 - ჭადრაკი.
- შექლებდით თუ არა გროსმაისტერებთან ჭიდილს, რომ მთელი თქვენი შესაძლებლობა ჭადრაკისთვის შეგეწირათ?
 - ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება სტეინელზე, ლასკერზე, კაპაბლანკაზე, ბოტვინიკზე და ტალზე უარესად თამაში.

III მსახიობი:

დღიური:

17 აგვისტო, 1959 წელი.

დღეს მიწაზე ვმუშაობდი. დაიღლებიო, ჟუჟუნამ მითხრა. ეჰ, გამეცინა გულში, რომ იცოდეს, ეს მიწა რა მსუბუქია იმ ტვირთთან შედარებით, მე რომ გულზე მაწევს. ადგილზე

ველარ ვჩერდები. ათას რამეს ვფიქრობ. გამოცდაზე გასასვლელივით გული რაღაც გაურკვეველობით მიძგერს. ილევა, ილევა ჩემი იმედისა და ტკბილი ოცნებების დღეები! ილევა და მინდა, კიდევ რამე მოვასწრო, მაგრამ ისე ცოტა დრო დარჩა, რომ აფორიაქებული ვარ. დღეს ლექსის დაწერა მინდოდა. მხოლოდ გეგმა მოვხაზე, მეტისთვის ნერვები აღარ მეყო.

დღეს თომას მანის "ბუდენბროკებს" ვკითხულობდი. ქრისტიანთან ჩემს მსგავსებას ვპოულობ _ ცუდი ნიშანია! ქრისტიანიც ჩემსავით უადგილოდ დარჩა ცხოვრებაში. მოწოდება ვერ იპოვნა თავის თავში, რადგან წარმოდგენაც კი არ ჰქონდა საწყალს, რომ არტიტობა შეეძლო. მე კი ვიპოვე ჩემი მოწოდება, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ მე და სხვას იგი არც ესმის, ზოგს არც სურს საერთოდ გაიგოს. მე და ქრისტიანს, ალბათ, ერთი დღე მოგველის, თუმცა, ჯერ არ ვიცი ქრისტიანის ხვედრი, ბოლომდე არ წამიკითხავს „ბუდენბროკები“.

ეჰ, საკუთარი თავის მეშინია. იქნებ ის არა ვარ, რაც უნდა ვიყო. როცა ყველა შენს წინააღმდეგ იბრძვის, ძალაუნებურად საკუთარი თავის აღარ გჯერა.

I მსახიობი:

.....

წერის უფლება რომ გქონდეს, ამისთვის რაღაცაში ყველა მწერალს უნდა ამეტებდე. არაა აუცილებელი, ყველაფერში, მაგრამ აუცილებელია _ რაღაცაში. ხოლო, თუ რაღაცაში ყველას ამეტებ, უფლება არა გაქვს, არ წერდე.

II მსახიობი:

.....

რა არის ბოლოსდაბოლოს მთავარი მწერლისთვის. შინაარსი ნაწარმოებისა თუ ფორმა? თვითონ ცხოვრებაში იმდენნაირი „გულისამაჩუყებელი“ და „გულისგამგმირავი“ სიუჟეტი არსებობს, რომ მწერლის მიერ ახლის მოგონებას ფასი არა აქვს. მითუმეტეს, რომ რაც არ უნდა ახალი მოიგონოს, რაღაც მისი მსგავსი აუცილებლად იარსებებს. ხოლო ფორმა სულ სხვაა. ის არ არსებობს, თუ არ შექმნი. ხელოვნება სწორედ ისაა, როგორ იტყვი, თორემ ახალს ვერავინ იტყვის.

სათქმელს თავისი ადგილი და ელფერი უნდა. რას იტყვი, ეს არაა მთავარი. მთავარი ისაა, სად, როდის და როგორ იტყვი.

I მსახიობი:

.....

ოსტატობა? _ მწერალმა უნდა იტანჯო, რომ მკითხველს კითხვა გაუადვილდეს.

IV მსახიობი:

„ცუგრუმელები“ და „გუნდერკინდები“

პირდაპირ ვიტყვი: მხოლოდ ბავშვებისთვის დაწერილი ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები არ არსებობს. არსებობს ნაწარმოები, რომელიც შეიძლება წავუკითხოთ ბავშვებსაც.

ხშირად მომისმენია ნაწარმოებზე, რომელიც ამის თქმას სრულიად არ იმსახურებს, - ამას ბავშვის გონება ვერ ჩასწვდებაო. ჩემო კეთილო და დიდად განათლებულო მეგობარო, ნუთუ არსებობს საერთოდ ნაწარმოები, რომელსაც ჩემი და თქვენი გონება როდისმე ამოსწურავს? ასეთ მოთხრობას თუ ლექსს ხომ, უბრალოდ რომ ვთქვათ, იმ

წამშივე კატასტროფული სიკვდილი უწერია. ნამდვილი ნაწარმოები ხომ თავისთავად მთელი სამყაროა, რომლის იდუმალი ძალის ნამდვილ შეგრძნებას უსასრულო დრო სჭირდება. განა როდისმე შეიძლება დასრულდეს სრბოლა სამყაროში?

რამდენი ბავშვი მინახავს, რუსთაველის პოემას გატაცებით და სულშემძრული რომ კითხულობს, ვიღაცა, ალბათ, გამომედავება, „ვუნდერკინდებზე“ არ მოგახსენებთო. მადლობა ღმერთს, რომ ქვეყანა უამრავი „საოცარი ბავშვითაა“ დასახლებული. კიდევ უფრო დიდი მადლობა იმავე ღმერთს, რომ ბევრი მათგანი სიკვდილამდე საოცარ ბავშვად რჩება.

ვიღაცამ შეიძლება ისიც იფიქროს, რომ ბავშვის გონებას დიდი მწერლობისთვის წინასწარ შემზადება სჭირდება. ნეტავ დაგვიჯერებდნენ, რომ ესეც სწორედ დიდი მწერლობის მისიაა და უკეთესად ამას სხვა ვერავინ შეასრულებს.

იას უთხარით ტურფასა:
 მოვა და შეგჭამს ჭიან,
 მაგრე მოხდენით, ლამაზო,
 თავი რომ აგიღიაო!
 შენ თუ გგონია სიცოცხლე
 სამოთხის კარი ღიაო;
 ნუ მოხვალ, მიწას ევარე,
 მოსვლაში არა ჰყრიაო.
 ნუ ნახავ მზესა, ინანებ,
 განა სულ მუდამ მზეაო!
 მიწავ, შენ გებარებოდეს
 ეს ჩემი ტურფა იაო,
 შენ უპატრონე, ემშობლე
 როგორაც შენი ზნეაო.

ვის უფრო მოგწონთ _ დიდებს თუ პატარებს?

საბოლოო კლასიფიკაცია სრულებითაც არაა საჭირო, ჩვენ მხოლოდ ის უნდა გვჯეროდეს, რომ ყოველი ჭეშმარიტი ნაწარმოები რაღაც ასაკის და ინტელექტის მხოლოდ ქვედა საზღვარს გულისხმობს და ზევით ყველაფერი უსაზღვროა და უდასასრულო. ვინ რა ლოდს შეუდგამს მხარს, ეს უკვე მწერლობის საქმეა და ამ მისიას მათზე უკეთ ვერავინ შეასრულებს.

რა დროს ბავშვებისთვის ენის მოჩლექაა და თავის მობავშვება?!

II მსახიობი:

* * *

იყო ზვირთცემა,
 იყო მზეც,
 მიწაც,
 იყო დიდი მთა ამ მთების იქით...
 სადღაც დაღლილი მამონტი იწვა...
 არ იყო კაცი...
 არ იყო _
 ფიქრი.

და გაჩნდა კაცი და ფიქრი ერთად,
 ზღვა ითქვა ლურჯად,

ხე ითქვა მწვანედ,
მზე ითქვა სუნთქვად,
მზე ითქვა ღმერთად,
როს იშვა ფიქრი _
ტკბილი და მწარე.

III მსახიობი:

მესტუმრე ჯიქური

უკვე შეღამებული იყო, თავზე რომ დაადგნენ. ხელები გაუკრეს, სწრაფად და უსიტყვოდ მოქმედებდნენ.

გზაც ხმისამოუღებლად გალიეს.

მერე, მტკვრის გადასახედზე დააყენეს და ხელი უბიძგეს.

უეცრად ეს იგრძნო: გული გაუწვრილდა _ ჯერ მუჭისოდენა გაუხდა, მერე ქვიშის მარცვლის ოდენა, მერე უფრო პატარა...

მალე ყველაფერი დამთავრდა. მზის ამოსვლისას უკვე მდინარის რიყეზე ეგდო და მისთვის აღარაფერი არსებობდა, აღარც იმის შეგრძნება, რომ არ არსებობდა...

პირველად მეთულუხჩე მემნამ შენიშნა. მიუახლოვდა. როგორც კი მის მდიდრულ ტანისამოსს მოჰკრა თვალი, ხაფად შემობრუნდა, თავის სულწასულ და პირდაღებულ მეორე „მე“-ს შეუკურთხა და ტუსტუსით მოუსვა.

მერე მეთევზე შეთემ. შეთე უფრო ახლოს მივიდა. წელში მოიხარა და სახეში ჩააჩერდა. ერთი პირობა რაღაც გაიფიქრა. მერე იმანაც აქეთ-იქით მიმოიხედა და თავის გზას გაუდგა. ცოტა ხნის შემდეგ გულზე რაღაც შემოაწვა, ისევ უკან დაბრუნდა, სხეულის ქვეშ უხერხულად დატანებული ხელი გაუსწორა და შეუმჩნეველად გაიპარა.

მზემ თანდათან იმძლავრა. ჯერ წამწამებზე აკიაფდა, მერე თვალის უპეები ამოუშრო, მერე ტანისამოსის ირგვლივ ორთქლის ბუდი დააყენა. მზე ხან ცის სილურჯეში ბზვინვარებდა და მწიფე ყანასავით ღულუნებდა, ხან სიფრიფანა ღრუბელს ამოეფარებოდა და სადაფის ღილივით ჭიატობდა. ცოტა ხნის შემდეგ უკვე მთელმა ქალაქმა იცოდა: ჯიქური ისანთა პალატიდან გადმოაგდეს, მერე წყალმა ათრია და წავკისის ყურესთან გამორიყა.

ზოგი ადამიანი ასე სჯის: ქვეყანაზე საკვირველი არაფერი არ ხდება. ის, რასაც მოულოდნელობას ვეძახდით, უკვე მოხდა და ფაქტია. უკვე მომხდარს კი თვალი უნდა გაუსწორო. შენ მხოლოდ მიზეზები უნდა ეძიო, _ „რატომ“ და „რისთვის“, _ მშვიდად და აუჩქარებლად. მიზეზები ყოველთვის არსებობენ და იპოვნი, ან ვერ იპოვნი.

ზოგიც _ ასე:

_ ეს რა ამბავია, ხალხო, ჩვენს თავზე, რა ხდება!

ათასში ერთი ამ დროს საკუთარ თავს ჩასჯდომია და ფიქრობს: რა არის ეს _ კარგი თუ ცუდი _ რაც მოხდა? თუ კარგია _ კეთილი. თუ ცუდია, მე რა გავაკეთე იმისათვის, რომ არ მომხდარიყო. იქნებ, რაღაცაზე უნდა მეზრუნა და არ ვიზრუნე? იქნებ, რაღაც გამომრჩა? ან, იქნებ, სულ სხვანაირად უნდა მეცხოვრა?

ასეთები ციდან არ სცვივიან და რიყეზე არ ყრიან.

შეთე ბაზრის ბოლოში ერთი-ერთმანეთზე მიჯრილ ფარდულებთან შედგა და თვალები მოწკურა. პირველად მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ძალიან ბევრს ფიქრობდა.

_ მართალი რომ გითხრა...

_ მართალი? სიმართლისთვის ახლა...

_ მე ვიცი, ჩემო დათა, ვისთან რას ვლაპარაკობ...

მთელი ბაზარი ისე ჩაიარა, რომ ერთხელაც არ შეუძახია. "ერიჰა!" _ გაიკვირვა შეთემ. მხრები აიჩეჩა.

_ გამარჯობა, ბოცო!

_ ეჰ!

_ რა იყო, კაცო!

_ არაფერი.

_ გაიგე?

_ აბა, ცოცხალი, ცოცხალი! _ გამოერკვა შეთე. ისეთი გრძნობა აჰყვა, თითქოს რაღაც მძიმე საგანზე ხელი შეინაცვლა.

„რა უნდა ამ კაცს!“ _ გაიფიქრა შეთემ. თვალი გაუშტერდა. _ „მეკითხება რაღაცას...“

_ რას უნდა ვაფასებდე, კაცო! _ უეცრად წამოენთო შეთე. თვითონვე გაუკვირდა. შეცბა. ასეთი რამ თავისი თავისთვის არასოდეს შეუმჩნევია.

_ კაცო, შენ!..

_ მომე ერთი ასხმულა.

„სულერთია!“ _ გაიფიქრა შეთემ. ფული გულგრილად გადათვალა. „რაა სულერთი?“ _ ჰკითხა მერე თავის თავს, მაგრამ ვეღარ გაიხსენა.

_ ცოცხალი, აბა, ცოცხალი! _ ხმას აუწია შეთემ.

_ რა გაყვირებს, კაცო!

„ყვირი, აბა, არ ყვირი?“ _ გაიფიქრა.

ბაზარი დღითე-დღე ძვირდებოდა და ხალხი ახლა ისეთ რამეებს ხედავდა, რასაც ადრე ვერ ამჩნევდა.

_ ძალმომრეობაზე და ანგარებაზეა ყველაფერი აგებული...

„რანაირი დღეა დღეს!“ _ ისევ სიდანდაც მოვარდა.

„მართლა ბევრს ვფიქრობ, _ გაიფიქრა შეთემ და სახეზე მკლავი ჩამოისვა. _ მართლა ძალიან ბევრს ვფიქრობ...“

ფიქრი დიდი ხნის შეჩვეულ საგნებს ჰგავს. ის საგნები სადღაც შენს გვერდით არსებობენ და შეუმჩნეველი სიცოცხლით ცოცხლობენ. მხოლოდ ხანდახან მოხდება, რომ უეცრად შეამჩნევ და მხოლოდ მაშინ „გრძნობ“ იმ სიმშვიდეს, როცა საგნებს ვერ ამჩნევდი.

ფიქრიდან თავის დასახსნელი გზა ისევ გრძელი და მომაბეზრებელი ფიქრია.

ფიქრია, თვითონ ფიქრით შეყრილი და სულისშემხუთავი სნების უებარი წამალი.

შეთემ ეს არ იცოდა.

შეთეს ახლა იმის განსჯის თავიც არ ჰქონდა, რა იცოდა და რა არ იცოდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს არც უკვირდა, მაგრამ არც თუ ძალიან სჯეროდა, რომ ნამდვილად არსებობდა.

ფიქრობდა და ვერც ფიქრობდა. თვალეზს ფლატეზე დაგორებული დათვივით ხან ხუჭავდა და ხან ახელდა. რამდენჯერმე ცას ახედა. ერთი თუ ორჯერ საკუთარი ფეხის წვერებსაც ჩააჩერდა. შფოთავდა. წუხდა. რაღაც გაურკვეველი გრძნობა სულს უმღვრევდა. ვიღაცას თუ რაღაცას ანგარიშმიუცემლად იგონებდა. მერე ისიც სცადა, საერთოდ არაფერზე ეფიქრა, მაგრამ არ გამოუვიდა. თითქოს გულის ძაფს ვიღაც ეწეოდა და გორგალი წვრილდებოდა და წვრილდებოდა...

ახლა იმისი ეშინოდა, რომ უმიზეზოდ ეშინოდა. „ყველანი ბედის ძელხაზებზე მოძრაობენ,“ _ ვიღაც უმტკიცებდა შეთეს.

II მსახიობი:

* * *

სადღაც აფეთქდა, ალბათ, პლანეტა _
 თვალთმაქცობაა დუმილი ზეცის...
 წამით მსუსხავი ფიქრი ამიტანს
 და საფეთქელთან გაკრთება ვერცხლი.
 სადღაც დამწვარი სხეული ბოლავს...
 ეჭვები მცლის და ეჭვები მავსებს _
 „დასასრულია სიმღერის ბოლო
 და დასაწყისი სიმღერის არსი...“
 ...აზრი აქვს ზეცას, სამყაროს მთლიანს,
 აზრი აქვს ლტოლვას, სწრაფვას, ძიებას...
 ვმღერით, ვეცემით, ჩავალთ, ვიხრწნებით
 და ამოვსკდებით მერე იეზად.
 და მერე ისევ ვკვდებით, ვეცემით,
 ვჩნდებით, თვალს ვახელთ, ვოცნებობთ, გვიყვარს...
 გზებს, ლურჯ გზებს ვეძებთ თვალის ცეცებით
 და ვეწირებით ერთ ლამაზ სიტყვას.

IV მსახიობი:

.....

რომ მიაგნო საკუთარ ადგილს ცხოვრებაში, რომ ქვეყანას გამოადგე, უპირველესად საკუთარ ფიქრებში უნდა გაერკვე. უნდა ისწავლო სხვათა ფიქრებისგან, მიზნებისგან საკუთარი ფიქრების, მიზნების გამორჩევა. საკუთარ ფიქრებში გარკვევა კი არც თუ იოლი საქმეა. ამ ამბავს ზოგი მთელ თავის სიცოცხლეს ანდომებს, ზოგს კი რამდენიმე დამაბული და ნერვული წელიწადი სჭირდება.

_ ჩვენ! _ ასე მხოლოდ იმას შეუძლია მიმართოს ადამიანებს, ვინც სამყაროში საკუთარი ადგილი იპოვნა.

III მსახიობი:

დღიური:

19 აგვისტო. 1959 წელი.

დღეს არაფერი გამიკეთებია. ვისვენებდი, თუ ეს დასვენებაა. ვკითხულობდი წიგნს, თუ ეს კითხვაა. მამაჩემს არ მოსწონს, როცა წიგნით ხელში დამინახავს და რას შვებო, მეკითხება. მეც ვდუმდები, რადგან სხვას ვერაფერს ვიტყვი, თუ არა „არაფერს“ და ამის თქმა კი არ მინდა. რა იცის, რომ ჩემთვის წიგნის კითხვა გართობა არაა. რა იცის, რომ კითხვა ჩემთვის დაუსრულებელი ტანჯვაა. რა იცის, რომ კითხვაში და წერაში ვცოცხლობ და ვსულდგმულობ.

დღეს მამა საშინელ გუნებაზე მოვიდა. რევმატიზმი აწუხებს და ფიქრობს, რამე რომ მომივიდეს, რა გეშველებათო. აი, აზრი, რომლითაც მე უბადრუკი, უმაქნისი არსება გამოვდივარ. აი, აზრი, რომელიც წინააღმდეგობას მიწევს, ვიფიქრო დიდზე, დიადზე და ბევრისთვის მიუწვდომელზე. აი, აზრი, ჩემი მკვლელი, ამ სიტყვის დიდი, ღრმა მნიშვნელობით... ნეტავ, ბევრი მაკლია გაგიჟებამდე?..

I მსახიობი:

დღიური:

23 აგვისტო. 1959 წელი.

ამ წუთში ჟუჟუ მელაპარაკა, მამას უთქვამს, რა შუაშია სექტემბერი, ათი წელიც რომ ასე იყოს ბიჭი, ხელს შევუწყობ და არ დავამადლიო.

კარგია ეს და მშვენიერი, მაგრამ ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ მე კარგი, ძალიან კარგი მშობლები მყავს, მაგრამ იმას კი ვერ ამტკიცებს, რომ მათ ჩემი ესმით.

ჟუჟუ მოვიდა ჩემს ლოგინთან და იტირა, თან მანუგეშებდა თითქოს, ნუ ხარ ასეთ გუნებაზეო. ბევრი ბავშვური რამ თქვა და მათ შორის ისიც, რომ მე როდისმე გამოჩენილი მწერალი დავდგები. სიყვარულს ბევრი კარგი რამ ახასიათებს და მათ შორის, ბავშვური რწმენაც ყველაფრისადმი. ჩემო ჟუჟუ, ისე დაბერდები, რომ ბავშვად დარჩები. მეც ასეთი მირჩვენისხარ.

დღეს მეტად საშინელ განწყობაზე ვარ. ვეღარ ვფარავ, თუ არა თამრიკოსთან თამაშით...

მე ხომ არ ვიცი, როდის მაღიარებენ იმად, რაც ვარ. შეიძლება, სიცოცხლეში არც მოხდეს ეს, შეიძლება, სულაც არა. ასეთები ხომ მომხდარა და განა ცოტა!!!

რედაქციიდან პასუხის ღირსსაც არ მხდიან. ალბათ, თავი მოვაწყინე უკვე. ეჰ, დიდი კაცის შვილი რომ ვიყო!.. მაშინ, ალბათ, მოსვენებას არ მომცემდნენ, შენი ჭირიმე, დაწერე, მოგვიტანე, დაგიბეჭდავთო, შენ თუ არ შეგიძლია წერა, ეგეც არაფერი, შენ მხოლოდ მეღნით დასვარე ქალაქი და მერე ჩვენ ვიცითო. პირმოთნეობა და უკვდავება ერთი ხნისანი ყოფილან!..

დღეს დავრწმუნდი, რომ მამაჩემი მაკვირდება. სერგისთვის უთქვამს, ბიჭი ლომერის ჰგავს ხასიათითო, სახლში რომ ცუდ რამეს ვიტყვი, ან რაიმე არასასიამოვნოს, თავის თავზე იღებსო.

II მსახიობი:

.....

სიყვარული ხომ მაშინ იწყება: როცა ერთი ანგარიშს უწევს თავის ყოველ სიტყვას, და აფასებს თავის ნათქვამს სხვისი აზრით.

სიძულვილი კი: როცა კაცს ფეხებზე ჰკიდია, მისი ნათქვამი რა შთაბეჭდილებას მოახდენს მეორეზე.

....

ბედნიერება არ არსებობს, ან შეცდომით იმ გრძნობას ეძახიან, რომელსაც მსხვერპლის გაღება იწვევს.

ყველაზე დიდი ბედნიერება მსხვერპლის გაღებაა.

IV მსახიობი:

შეთქმული

ცოტნემ უზანგიდან ფეხი ჩამოდგა და გაიფიქრა:

აი, მეც მოვედი!

უეცრად სული შეუგუბდა. აშკარად გაიგონა, რომ ვიღაცამ გარკვევით ჩაილაპარაკა: „აი, მეც მოვედი!“ შეკრთა. რაღაც უჩვეულო გაურკვეველი გრძნობა დაეუფლა, თრთოლვამ აიტანა. ოღონდ, გარეგნულად წარბიც არ შეუხრია. მერე მკვეთრი გამიზნული მოძრაობით ხმლის ვადას წასწვდა და ტყისკენ შემობრუნდა.

ტყემ მყისვე მშვიდი, საოცრად მშვიდი, გონიერი თვალები შეაგება.

„მოვედი, მეც მოვედი!“ – ახლა უფრო გარკვევით და შემაცხუნებელი სიმშვიდით შემოესმა. ცოტნემ სული განაბა. რაღაც უჩვეულოს მოლოდინმა სიფრთხილის გრძობა მოუდუნა და ხმლის ვადაზე ხელი აუცურდა.

ეს იყო წამით.

მერე რაღაც უცილობელის, გარდუვალობის შეგრძნებამ აზრს მდინარება დაუბრუნა. მღელვარება ჩადგა. ცოტნეს წამიერი სიმშვიდე დაეუფლა. მერე თანდათან გაჩნდა რწმენა: თითქოს ყველაფერი ასე უნდა მომხდარიყო. თითქოს სწორედ ახლა, ამ გადამწყვეტ წუთში, ვიღაც აუცილებლად უნდა მოსულიყო და ეთქვა: „აი, მე მოვედი!“ სწორედ ახლა, როცა ასე საჭირო იყო. როცა მართლაც ერთი, ერთადერთი წამი სწყვეტდა ყველაფერს.

რაღაც განმეორდა.

რაღაც უკვე მოხდა და მერე საოცარი სიზუსტით განმეორდა. ეს იყო წინათ, ძალიან დიდი ხნის წინათ: ვიღაც გადამწყვეტ წუთში მივიდა და თქვა: „მე მოვედი!“ სწორედ მაშინ, როცა ძალიან სჭირდებოდათ, როცა მისი მისვლა სწყვეტდა ყველაფერს.

ეს იყო წინათ: ვიღაც ყოველთვის გადამწყვეტ წუთში მიდიოდა და ამბობდა: „მე მოვედი!“

და ცოტნემ იგრძნო: გავა დრო, იქნებ ბევრი, იქნებ მეტისმეტად ბევრიც, მაგრამ ვიღაც ისევ მივიდოდა, ვიღაც უსათუოდ მივიდოდა, და იტყოდა: „აი, მე მოვედი!“ – და სწორედ იქ, სადაც მისი ყოფნა იქნებოდა საჭირო, და სწორედ მაშინ, როცა ერთი, ერთადერთი წუთი გადაწყვეტდა ყველაფერს. მივიდოდა მტკიცედ, დიდი, ყოვლისდამტევი გულით და შეურყეველი რწმენით ვიღაცის გადასარჩენად, რაღაცის გადასარჩენად.

ეს იყო საუკუნეების ძახილი.

ცოტნეს საკუთარი გულის ხმა ესმოდა.

მაგრამ ახლა რატომღაც მოუნდა, რომ მოსულიყო არა ასე, ბედის თუ აუცილებლობის კარნახით, არამედ ათასჯერ აწონილი ფიქრით და საკუთარი შეგნებით.

III მსახიობი:

ჭადრაკის დაფასთან

– მამა, მასწავლე რა ჭადრაკის თამაში, – ამბობს გია.

მამას გაგონებაც არ სურს. სხვა დროს პირიქით იყო. მამა ეხვეწებოდა, გასწავლიო, და გია უარს ამბობდა.

– უთხარი რა, დედა? – ახლა დედას ეხვეწება გია.

– ასწავლე, – თქვა დედამ.

– ვიცი მე მაგ ვაჟბატონის ამბავი, – უარზეა მამა.

– მასწავლი, ჰო?

– არა.

მერე ბებია ჩაერია საქმეში. მამა ისევ უარზე იყო, ბოლოს, გადამწყვეტი სიტყვა ისევ ბაბუამ თქვა.

– დაჯექი, – თქვა მამამ. გია გაიქცა სკამის მოსატანად.

– დავჯექი, მამა.

– ჰოდა, დაიმახსოვრე, ჭადრაკის დაფასთან ბევრი ლაპარაკი არ შეიძლება.

– რატომ არ შეიძლება, მამა, ბევრი ლაპარაკი ჭადრაკის დაფასთან?

– გაჩუმდები თუ არა ახლა შენ!

– ჰო, – თქვა გიამ.

– ჰოდა, ასე.

- _ არ მინდა ჭადრაკის თამაში!
- _ არ გინდა და იყავი!
- _ ვიქნები!
- _ კარგი, ნუ ტირი... ამას ჰქვია პაიკი, გაიმეორე!
- _ არ ვტირი, _ ამბობს გია და მუშტებით თვალებს იმშრალავს, _ პაიკი.
- _ პაიკი წინ მიდის, აი ასე, და გვერდზე კლავს, აი ასე...
- _ რას კლავს, მამა, პაიკი?
- _ ყველაფერს, რაც შეხვდება, კუს, ეტლს, მხედარს, ლაზიერს...
- _ ნუ კლავს რა, მამა!
- _ არ შეიძლება, სხვანაირად არ შეიძლება.
- _ არ მინდა თამაში! _ ისევ აცხადებს გია.
- _ მიყურე, შვილო, ეს არის თეთრი პაიკი, თეთრი პაიკი შენია, ეს შავი ფიგურები კი სულ ავი სულეებია, დევები, ეშმაკები და ქაჯები... ჰოდა, ხომ უნდა მოკლავს, არა, თეთრმა პაიკმა?..
- _ ცოდოა.
- _ ვინ არის ცოდო?
- _ ქაჯი.
- _ ქაჯი არაა, შვილო, ცოდო... ქაჯს თუ არ მოკლავ, მაშინ ქაჯი თვითონ მოკლავს თეთრ პაიკს, კარგია მერე?
- _ არ მოკლავს.
- _ მოკლავს-მეთქი და გაიგონე!
- _ არ მოკლავს!
- _ მოკლავს!
- _ არ მოკლავს! დედი, ქაჯი ხომ კარგია?
- _ ცუდია, შვილო.
- _ ეს ხომ კარგი ქაჯია, დედა?
- _ კარგია, ჰო, კარგი.
- _ დედამ თქვა, კარგიაო, _ ამბობს გია.
- _ მერე, მამამ რა თქვა? _ ეკითხება მამა.
- _ ცუდიაო.
- _ ჰოდა, ცუდია. დედას ხომ დაუჯერე, ახლა მე დამიჯერე.
- _ შენ არ დაგიჯერებ.
- _ აუჰ, სულ დამავიწყდა! _ შუბლზე ხელი შემოიკრა მამამ, _ კი არ კლავს... აბა, მოკვლა როგორ შეიძლება!.. მოდი, ყველაფერი დაივიწყე, რაც გითხარი და თავიდან დავიწყით...
- _ დავიწყით.
- _ მამ ასე, თეთრი პაიკი წინ მიდის და გვერდზე აჰყავს...
- _ ხელში აჰყავს, მამა?
- _ ჰო, ხელში.
- _ რატომ აჰყავს ხელში თეთრ პაიკს, მამიკო?
- _ იმიტომ, რომ აკოცოს და მერე დაფიდან აგერ ბალიშზე რბილად გადასვას...
- _ ვინ აჰყავს, მამიკო, თეთრ პაიკს?
- _ ვინ და შავი ფიგურები.
- _ დევები და ქაჯები, მამა?
- _ დევები და ქაჯები კი არა, ნატო ბებოს თეთრი წიწილები.

- _ მერე ესენი რატომ არიან შავები, მამა?
- _ ლამეში დარჩენია ნატო ბებოს გარეთ და გაშავდნენ.
- _ მატყუებ, ჰო?
- _ არა, არ გატყუებ.
- _ მერე, მამა?
- _ მერე ის, რომ დღეს გეყოფა, რაც ისწავლე და ხვალ გავაგრძელოთ.
- _ ხვალ როდის იქნება, მამა?
- _ გაისად.
- _ დღეს იყოს რა, მამა, გაისად?
- _ დღეს არ შეიძლება.
- _ რატომ არ შეიძლება, მამა?
- _ იმიტომ, რომ უნდა დაიძინო.
- _ ხვალ არ დავიძინებ, ჰო?
- _ ნუ დაიძინებ.
- _ რატომ, მამა?
- _ იმიტომ, რომ ხვალ დაძინება, საერთოდ, არ შეიძლება, ყოველთვის დღეს უნდა დაიძინო.
- _ ხვალ დაძინება რატომ არ შეიძლება, საერთოდ, მამა?
- _ მომაცილეთ ეს ბავშვი! _ ყვირის მამა.

I მსახიობი:

გია არგანაშვილი:

ყარამან კიკვიძის სახეში „სამოცდაათიანელები“ იმდროინდელი საზოგადოებრივი ტენდენციის დანახვასაც ცდილობენ, კონკრეტული ხასიათის განზოგადებით მთელი თაობის ერთიან, ტიპობრივ პორტრეტს ქმნიან, რადგან მისი ცხოვრება და შემოქმედება სხვებზე მეტად ერთიანი, განუყოფელი და მთლიანპიროვნულია, ყველაზე უფრო ზუსტად გამოხატავს თაობის ლიტერატურულ შეგნებას, რომელსაც საზოგადოებრივი აზრი და შინაგანი სინდისის ხმა აყალიბებს, ხოლო ცხოვრების აზრს მოვალეობის პირნათლად შესრულებაში ხედავ.

II მსახიობი:

* * *

„_ თქვენ ყველა რაღაცას ფიქრობთ, ჯოტო, რაღაც გაწუხებთ, რაღაც გიხარიათ, რაღაც გტკივთ, მაგრამ მე ვერ ვგრძნობ თქვენს სიხარულს, მე არ მტკივა თქვენი ტკივილი. აი, ეს მე ვარ, ჯოტო, ხელს რომ ვწევ და შუბლს ვისრეს, აი, ეს მე ვარ, რომ მტკივა. თქვენი ტკივილი კი მე არ მესმის. თქვენ ჩემს გარეშე ხართ სადღაც, როგორც აი, ამ ფილმის გმირები. მათაც სტკივთ, ალბათ, მათაც უხარიათ, და მე წარბებს ვიჭმუხვნი, ან ვიცინი, იმიტომ, რომ მათ ტკივილს ჩემს საკუთარ ტკივილს, მათ სიხარულს კი ჩემს საკუთარ სიხარულს ვამსგავსებ. მე კი მინდა, რომ მე მტკიოდეს მათი ტკივილი. მე თქვენთან მინდა, ჯოტო, თქვენთან, ყველასთან. გუშინ თიკომ ხელი გაიჭრა, ჯოტო, თიკოს ეტკინა და მე ვიცოდი, რომ სტკიოდა, ვიცოდი, მაგრამ თვითონ ვერაფერს ვგრძნობდი. თიკო კი ისე ღრიალებდა, რომ მე ათასჯერ მერჩია, ჩემი ყოფილიყო ის ტკივილი. აი, ეს მე ვარ, ჯოტო, ეს მე ვარ, და მე მინდა, თქვენც ჩემთან ერთად ამბობდეთ: აი, ეს მე ვარ!“

„_ ყველა რაღაცას ფიქრობს, მამუკა.“

„_ ნუთუ, მე მარტო ვარ, ჯოტო... თუ მარტო ვარ, მაშინ ვინა ხართ თქვენ... რატომ ვარ ამ წუთში მე აქ, ჯოტო, რატომ ვარ სწორედ აქ და არა სხვაგან...“

„_ შენ მე არ მიცნობ, ჯოტო. მე ის არა ვარ, შენ რომ იცნობ, ჯოტო, მე ხომ...“

„_ რას ამბობ, მამუკა!“

„_ მე მეშინია, ჯოტო... მართო იმის გაფიქრება, რომ მე არასოდეს არა ვარ მე, სუნთქვას მიკრავს, მაგრამ ეს ასეა... მე მინდა რაღაცას ვაკეთებდე, ჯოტო, რაღაც ისეთს, რაც მხოლოდ მე შემიძლება და სხვას არავის. მაშინ მე აღარაფრის შიში აღარ მექნება, ჯოტო... მაშინ მე ხელს ავწევ და ვიტყვი: ეს მე ვარ, მამუკა! ო, როგორი სიხარულით ვიტყვი ამას, ჯოტო... შენ უკვე აღარ გეცინება, ჰო?..“

„_ არ მეცინება, მამუკა.“

(დღიურის ეს მონაკვეთი გადანაწილდება III-სა და IV მსახიობს შორის):

დღიური:

6 სექტემბერი (კვირა).

დღეს დიკენსის პირველი ტომი დავიწყე. საწყალი დიკენსი! დიდი წვალეებით და ტანჯვით „მოუხერხებია“ პირველი მოთხრობის დაბეჭდვა. ეს საუკუნეების განუკურნებელი ავადმყოფობაა. ბევრი ტალანტი დაღუპულა ამ რთულ გზაზე და ბევრიც დაიღუპება.

24 სექტემბერი (ხუთშაბათი).

დედა ავადაა.

ექიმთან იყო დღეს და ბრმა ნაწლავის და საკვერცხეების ანთება დაუსვეს დიაგნოზად. ზეგ საავადმყოფოში უნდა დავაწვინოთ.

12 ნოემბერი (ხუთშაბათი).

დღეს „ფიქრები“ წავიღე მანქანაზე გადასაბეჭდად კავშირგაბმულობის სამინისტროს კანცელარიაში. გადავაბეჭდინე მემანქანეს. აღტაცებას გამოთქვამდა მისი ბეჭდვის დროს, არ ვიცი, იმის გამო, რომ ვერაფერი გაიგო და არ ვიცი, იმის გამო, რომ ჩვენს ჟურნალისტებზე მეტი ესმის.

14 ნოემბერი (შაბათი).

ხელები დამეწვა ცემენტისაგან. ჯინაზე, საწერიც ახლა მომდის თავში.

მინიატურა დავეწერე ძალიან ნაღვლიანი: „მცივა“. დღეს ჟუჟუს თავი სტკივა ძალიან. ალბათ, ეს სევდაც ამან გამოიწვია. მაგრამ, ეჭვი არაა, მალე „ნაღვლიანი“ ჩემი მუდმივი თანამგზავრი გახდება. ეს მინიატურაც ჟუჟუს მივუძღვენი.

მართლაც რომ მცივა მართლობით. ეს სიცივე სამარის სიცივეზე უარესია. ბევრი რამ მინდა დღეს დავწერო, მაგრამ მეშინია, სევდით და პესიმიზმით არ ავივსო.

23 ნოემბერი (ორშაბათი).

დღეს დენი გავიყვანე სარდაფში. ეს სხვათაშორის, და დღეს თინათინმა თქვა:

_ ჩემმა ამხანაგმა მითხრა, შენმა ძმამ ისეთი გადასარევი გაკვეთილი ჩავვიტარა ერთხელო.

სწორედ რომ ვთქვა, გული ჩამწყდა. მათემატიკაშიც შემეძლო, რომ სხვისგან სასიამოვნო მოსაგონარი ვყოფილიყავი.

პირველად ამდენი ხნის შემდეგ ჩავფიქრდი და ერთი წუთით წარმოვიდგინე, როგორ ვატარებ ლექციას სიმრავლეთა თეორიის შესახებ.

აი, აუდიტორია. კათედრასთან ვდგავარ ცარცით ხელში. მესწრებიან სტუდენტები და ლექტორებიც. ლექციას ორიგინალურად ვიწყებ:

გთხოვთ, ერთი საათით დაივიწყოთ, რაც უნივერსიტეტის კედლებში გისწავლიათ. მაგრამ, თუ მიუხედავად ჩემი გაფრთხილებისა, უმაღლესი მათემატიკა შემთხვევით სადმე დაგვჭირდება, იმედია, მას ისე საფუძვლიანად არ დაივიწყებთ, რომ საჭიროების შემთხვევაში ვეღარ გაიხსენოთ. მაშ ასე, ვიწყებ:

რა არის უსასრულობა.

„1, 2, 3, 4. . . და ა. შ. ბოლოს იქნება უსასრულობა.“ ეს განმარტება ბევრს შეიძლება სასაცილო ეჩვენოს, მაგრამ მასში არის რაღაც უბრალო და ჭეშმარიტი. ჩემის მხრივ ვეცდები ნაცვლად სრულყოფისა, კიდევ უფრო გავამარტივო იგი:

„რიცხვი, რომელიც დგას ყველა ნატურალური რიცხვის შემდეგ არის უსასრულობა.“

II მსახიობი:

* * *

შინ რომ მივედი, კარი თეონამ გამიღო. წამსვე თვალებში შემომხედა, მაგრამ არაფერი უკითხავს. რამდენიმე წლის წინანდელი ამბავი გამახსენდა: ქარი იყო. ვიღაცამ ქუჩა გადმოჭრა და ხელიდან წიგნი გაუვარდა. ორივე ერთად დავიხარეთ ასაღებად. მერე მუხლებზე ხელი იტაცა.

_ ცოლად არ წამომყვები, გოგონა? _ ვკითხე.

_ რატომაც არა! _ გაეცინა.

ერთხელ თეონასთან გავიხსენე.

_ მართლა რომ წამოგყოლოდა, მერე? _ მკითხა თეონამ.

_ წავივანდი.

_ მერე? _ გაუკვირდა.

_ რა მერე?

_ ასე უცებ?!

_ იცი რა, _ ვუთხარი, _ ერთ მწერალს ჰკითხეს მისი ერთ-ერთი რომანის შესახებ, რამდენ ხანს წერდითო... თურმე ერთ თვეში დაუწერია... მთელი ჩემი სიცოცხლე და ერთი თვეო, უპასუხა.

_ მერე? _ მკითხა თეონამ, რაკი აღარ გავაგებლე.

_ მერე, ალბათ, იმასაც ასე ჰკითხეს.

_ რა?

_ ასე უცებო?

თეონამ პასუხი დააყოვნა. მერე ახლოს, სულ ახლოს მოვიდა და თქვა:

_ შენ მართლა წაიყვანდი.

ადამიანი არც საქმეა და არც სიტყვა. ადამიანი ფიქრია.

_ წაიყვანდი, უსათუოდ წაიყვანდი. _ ვუთხარი.

სიტყვასა და ფიქრს შორის განსხვავება სიყალბეა, ხოლო საქმესა და სიტყვას შორის _ სიმბდალე, ან სიმუხთლე. ის, ვინც ფიქრებთან სტყუის, საკუთარ თავს ატყუებს, ვინც გულის წადილს ვერ მისდევს _ ქვეყანას.

_ გამათავისუფლეს, _ ვუთხარი თეონას.

თეონას არაფერი უთქვამს.

მამაჩემისთვის რომ მეთქვა, უსათუოდ მეტყოდა:

_ არაფერი მესმის.

ქვეყანა დიდია... შეიძლება საკუთარი თავი დაკარგო. საკუთარი „მე“-ს პოვნა ფიქრის პოვნაა, სიტყვისაგან და საქმისაგან ფიქრის გამორჩევა.

„ადამიანი არც სიტყვაა და არც საქმე, ადამიანი ფიქრია...“

I მსახიობი:

თამარ კიკვიძე:

ყარამან კიკვიძემ დაამთავრა მათემატიკის ფაკულტეტი, ჩააბარა ასპირანტურაში, სხვათაშორის, უკვე მზად ჰქონდა სადისერტაციო ნაშრომი, მაგრამ არჩევანი მწერლობისკენ გააკეთა და მეორე კურსიდან ყველას _ ოჯახის წევრების, ლექტორების, ნაცნობ-მეგობრების _ გასაოცრად თავი დაანება ასპირანტურას და დაიწყო წერა.

რა მისცა ყარამანს მათემატიკამ: ჯერ ერთი, სამყაროს კანონის წვდომის უნარი მთელი თავისი უსასრულოებებითა და პარალელური სამყაროების (სიზმარ-ცხადის, სიკვდილ-სიცოცხლის, წარსული-აწმყო-მომავლი) ერთიანობის აღქმით, ანუ, ღმერთის შემეცნების შესაძლებლობა და რაც მთავარია: საკუთარი სტილი (რომელიც არა მგონია, ესოდენ დამახასიათებელი იყოს ვინმესთვის) _ ნაწარმოები მათემატიკური აზროვნებითაა დაწერილი, ანუ: სიუჟეტი-ფიქრი-დასკვნა _ ეს იგივეა, რაც მათემატიკური მაგალითის ამოხსნა _ მოქმედება-ფიქრი-უდრის-პასუხი. და ისევ: სიუჟეტი-ფიქრი-დასკვნა და ა. შ. _ ეს არის მთლიანი და განუწყვეტელი პროცესი მის შემოქმედებაში... რეალურ ცხოვრებაშიც ხომ ეს უწყვეტობაა.

IV მსახიობი:

* * *

- _ რად მინდა შენი გაცილება, _ იცინის თეონა, _ მთვრალი ხარ.
- _ მერე რა, რომ მთვრალი ვარ, შენ წინ წადი, მე ცოტა შორს მოგყვები.
- _ რატომ ვითომ?!
- _ აბა რა ვიცი!
- _ მაინც?
- _ იმიტომ!
- _ მაშინ წამოდი, _ იცინის თეონა, _ ოღონდ, შორს კი არა, აი ასე...
- ასეთ წუთებს, ალბათ, თავიანთი დიდი სიცოცხლე აქვთ და ჩვენ წუთებად გვეჩვენება...
- _ ბიძაჩემი დათვრა ერთხელ ისე, რომ ფეხზე ძლივს დგებოდა.
- _ ბიძაშენი?
- _ ჰო.
- _ მერე?
- _ მერე რა და... შუა ხიდიდან, დგაფ, თურმე მდინარეში.
- _ აუჰ!
- _ რა აუჰ?!
- _ არაფერი, როგორი მთვრალი ხარ-მეთქი. დაიხრჩო?
- _ დაიხრჩო რა, მართლა კი არ უნდოდა! ჰო, რას იცინი, ხიდზე რომ გადახვიდოდი, მერე მარჯვნივ უხვევდა გზა და იმიტომ!
- _ რა იმიტომ?
- _ ადრე მოუვიდა... გაიგე?
- _ გავიგე.
- _ კაცი დაიხრჩო-მეთქი და შენ იცინი...
- _ რა ერქვა, მერე, ბიძაშენს.
- _ ბარნაბა.
- _ საწყალი!

_ ბარნაბა რომ ერქვა, იმიტომ?... ერთი პატარა გოგო დარჩა, მეტი კი არავინ... მამიკო, მამიკო, ღრიალებდა...

_ მეტი არაფერი იცი?! _ სული უგუბდება თეონას.

_ ვიცი, როგორ არ ვიცი, წყლიდან რომ გამოვართიეთ, შეიქნა ერთი კამათი, რატომ დაიხრჩო, რისთვისო და რა ვიცი... ჰოდა, მაშინ თქვა ის სერაპიონ-მღვდელმა.

_ რა ის?

_ ადრე მოუვიდაო მოხვევა.

_ ჭკუაზე იყო, თუ იცი, სერაპიონ-მღვდელი? _ გული მოსდის თეონას.

_ რა ვიცი, იყო?... ერთხელ, ცურვის სახელმძღვანელო იყიდა ბარნაბამ. წაიკითხა კარგა გულდასმით და, დგაფ, მერე მდინარეში. მაშინაც სერაპიონმა გამოათრია.

_ ცურვის სახელმძღვანელო, ჰა? _ იცინის თეონა.

_ კაცო, რა ღმერთი მიწყრება, აკი სულ ზეპირად ვისწავლეო, _ უკვირდა ბარნაბას.

_ ცურვისო, ჰა?

_ სერაპიონმა დაუხია მერე, თორემ კიდევ აპირებდა წაკითხვას.

თეონა იცინის. თეთრი, ლამაზი კბილები აქვს თეონას და კიდევ უფრო ლამაზი, ცეცხლივით ტუჩები. ცას თითქოს ჟრუანტელი უვლისო, ვარსკვლავები ისე ციმციმებენ. მე ვიცი, სანამ სულს მოითქვამს თეონა, და ვეუბნები:

_ მე მიყვარხარ, თეონა.

_ ალბათ მეც, აზა...

_ მე ნამდვილად ვიცი, თეონა.

თეონას არაფერი უთქვამს. მშვიდი, ნათელი თვალებით შემომხედა. მერე ერთმანეთზე გადაჭდობილი ხელები თმებს უკან, კისერზე გადაიწყო და ასე, ზურგმუქეველად, ნელ-ნელა დამშორდა.

III მსახიობი:

* * *

დღეს რაღაც მოხდა...

და მე დღეიდან აღარა ვარ ის, რაც ვიყავი... არა ვარ იმიტომ, რომ რაღაც მოხდა, რაღაც შეიცვალა... მე მხოლოდ უამისოდ ვიქნებოდი ის, რაც ვიყავი...

დღეს არაფერი არ მომხდარა...

და მე დღეიდან აღარა ვარ ის, რაც ვიყავი... არა ვარ იმიტომ, რომ არაფერი არ მომხდარა, არ შეცვლილა... ჩვენში კი ყოველთვის რაღაც მზადაა იმისათვის, რომ რაღაც მოხდეს...

გადიან წლები...

და ასე, ყოველ წუთს, ვეთხოვებით საკუთარ თავს, სურვილებს, ხილებს...

ასე ყოველ წუთს, ყოველ წამს შეუმჩნევლად შემოდის ჩვენში რაღაც ახალი...

და არასდროს არა ვართ ის, რაც ვიყავით...

და არასოდეს არა ვართ ის, რაც ვიქნებით...

I მსახიობი:

საქართველოში, მეგობრებო...

სად არის კაცი, ვისაც ისე უყვარს თავისი ცოლი, რომ ყველგან და მუდამ, შინ თუ გარეთ, ქარში თუ დარში, დღისით თუ ძილში თავისი ცოლის თვალები ელანდება...

და მაინც, ყოველ შემხვედრ ქალთან ცვლის იმ ერთადერთს...

სად არის კაცი, ვისაც ისე უყვარს თავისი ქვეყანა, რომ ერთ წამში შეუძლია იმ დიდი სიყვარულის ცეცხლში დაიწვას, გათავდეს, დაიფერფლოს, მაგრამ კვდება ნელ-ნელა, თანდათან, კვდება იმ ქვეყნის დარდით, ზრუნვით, ფიქრით, სიყვარულით...

და მაინც, ერთი სიტყვა მის სასიკეთოდ არ დასცდება...

სად არის კაცი, ვისაც ისე უყვარს თავისი მეგობარი, რომ მისთვის არა თუ ფულს, სიმდიდრეს, მთელ თავის ქონებას, სახელს, დიდებას, არამედ სულსაც, უკანასკნელ ლუკმას, სისხლის უკანასკნელ წვეთსაც არ დაიშურებს...

და მაინც, ყოველ ნაბიჯზე შხამავს, გესლავს, სახელს უტეხს თავის მეგობარს...

სად არის ქვეყანა, სადაც ისე მძლავრად და ომახიანად მღერიან, რომ მთებსაც კი შურთ მათი სიმღერის ძალა და უკვდავება...

და მაინც სხვის ჰანგებზე ტირიან, ჩხავიან, კნავიან თრთიან და ცახცახებენ...

სად არის ხალხი, სადაც ისე უყვართ თავისი ისტორია, რომ მომაკვდავნიც კი, განდგომილნი, თუ განწირულნი, ფრჩხილებით, სისხლით, ოფლით, კვნესით სწერენ მის სადიდებელს...

და მაინც, დიდი ფართოდ გახელილი, გაოცებული თვალებით უცქერიან ქვეყნად მოარულ მოდურ გატაცებებს...

სად არის ხალხი, სადაც ისე სწამთ ადამიანის გული, ძალა და ნიჭი, რომ ქვეყნად არცა რა მიაჩნიათ შეუძლებლად, დაუძლეველად...

და მაინც, ფეხქვეშ ეგებიან, კერპად იხდიან, შეღალაღებენ ერთადერთს _ ბახუსს...

სად არის ხალხი, სადაც ისე წრფელად, ისეთის ძალით, ისე თავდავიწყებით უყვართ თავისი ქვეყნის მადიდებელი, ერთგული შვილები, რომ დღე და ღამ, ძილში თუ ღვიძილში, ყველგან, ყოველთვის, სადაც არ უნდა იყვნენ, როგორც არ უნდა იყვნენ, მათზე ფიქრობენ, მათზე ზრუნავენ, მათით სუნთქავენ, მათით არსებობენ, მათით ამაყოფენ...

და მაინც, მთელი თავისი შეძლებით, მთელის არსებით, შეგნებით, მთელის გატაცებით, სულით და გულით, ფულით თუ ქრთამით, ძალით თუ ხრიკით ეხმარებიან, გზას აძლევენ, აქებენ, ადიდებენ მხოლოდ უვიცებს, მხოლოდ უნიჭოთ, უქნარებს, უღირსთ, უგნურებს...

სად არის ქვეყანა, სადაც ისე უყვართ მოყვასი, რომ ვინც არ უნდა იყოს, რაც არ უნდა იყოს, რა გულის, რა სულის, რა რჯულის, რა ზნის, რა ფერის, რა რწმენის... ყველას ერთნაირად უღებენ გულის კარს, სულში იძვრენენ, გულზე იხატებენ, ლოცულობენ...

და მაინც, ქვეყნად კიდევ რაღაცა სწამთ, რაღაც ადარდებთ, რაღაც აფიქრებთ, რაღაცის სჯერათ გარდა სიკეთისა...

სად არის ხალხი, სადაც ისე უყვართ ყველაფერი ლამაზი, ყველაფერი დიდი, მაღალი, წმინდა, მაღლიანი, ნიჭით ცხებული, კეთილშობილი...

და მაინც, არაფრით არ დაგიდევენ, თუ ვინმე ეცემა, თუ რამე ეცემა, თუ რამე ტყდება, თუ რამე ისვრება, ყურს არ შეარხევენ, თითს არ გაატოკებენ, თუ რამე ისპობა, თუ რამე ინგრევა...

სად არის ხალხი, სადაც ასე გრძნობენ, სადაც ასე ესმით, სადაც ასე იციან, რა არის დიდი, რა არის პატარა, რა არის მთავარი, რა არის უმნიშვნელო...

და მაინც, რაღაც მუდამ მიდის თავის გზით, თავისი ინერციით, ბრმად და უაზროდ... მიდის დაუსრულებლად, უსურვილოდ და უმიზნოდ, უხელოდ და უთვალოდ... ვერაფერი ვერ აჩერებს, ვერაფერი ვერ აკავებს, წინ ვერაფერი უდგება, ვერაფერი უძლებს, ვერაფერი ეღობება...

საქართველოში, მეგობრებო... საქართველოში.

II მსახიობი:

ჯანსუღ ღვინჯილია:

მის გარეგნობაში, მის ხასიათში შინაგანი სიმშვიდე იყო დაკრისტალეზებული. მერე დავრწმუნდი, რომ ეს სიმშვიდე უბრალოდ, თავისთავად არ მოდიოდა. ის დიდ სულიერ ენერგიას ხარჯავდა, რომ თავისთავში გადაეტანა და გადაეხარშა ყველაფერი. თავის ტკივილს არასოდეს არავის ახვევდა. ხშირად ვყოფილვართ მის ოჯახში, გვიქეიფნია ერთად, გვისაუბრია შუალამედე, დილამდეც. თან გადაყოლა იცოდა მეგობრისთვის, თავად კი იშვიათად შეაწუხებდა ვინმეს. უაღრესად საინტერესო მწერალია დღეს ჩემთვის.

III მსახიობი:

ფიქრი

ღმერთი ის არის,
რაც არ არის ყალბი,
ღმერთი ჩვენშია და ჩვენზე ძლიერი...
ჩვენ მას ვეძებთ,
ვეძებთ...
და ვკარგავთ...
ფიქრი სულის ჭდეა და იარა...

მე ვარ ღმერთი და მე დავდივარ მიწაზე,
მე მაქვს სურვილი და ჭირთა თმენა...
მე შენ მებრალები და გიწამე,
ფიქრი სამყაროს ნერვია და რწმენა.

შენ ხარ კაცი და ღმერთებს დასცინი,
იმ ღმერთებს, რომლებიც შენშია...
სამყარო მზის თასია დაცლილი...
სინათლე სულ ერთი პეშვია.

IV მსახიობი:

* * *

„ფიქრი ადამიანის წინასწარ დათქმული გზაა და ბედისწერა. ფიქრით ყოველთვის რაღაც იწყება და არ თავდება... კაცმა იმაზე არ უნდა იფიქრო, რა იფიქრო. შემთხვევა მხოლოდ ფიქრში გამსხლტარი წუთია...“

ბექამ რამდენჯერმე სცადა არ ეფიქრა, მაგრამ ვერა და ვერ შეძლო – ათასჯერ გამოშლილი ფიქრის ძაფი ისევ თავს იხვევდა და გუნდად იკვრებოდა...

ჯერ თითქოს მუხლები მოეკვეთა და ადგილზე გაქვავდა ლამარია. მერე ნელი, გაუბედავი ნაბიჯებით ბექასკენ წამოვიდა და მუძუებზე ხელები წაივლო: „მატკინე, შვილო!“

წვიმას მთელი ღამე არ გადაუღია. ელავდა, ქუხდა. ქარი მთელი ძალით აწვებოდა ხის კედლებს და ღმუოდა. ბექა გაოცებული უყურებდა მიცვალებულს და მისი სიმშვიდე არ სჯეროდა. მკრთალი ნათურა დროდადრო ქრებოდა და ისევ ინთებოდა. წამით ყველაფერი წყნარდებოდა. მხოლოდ ბექას გულს გაჰქონდა ბაგაბუგი. ღია კარის ზღურბლთან მძიმე თათებით იდგა ღამე და ქარისგან ბეწვაშლილს თვალები უბზინავდა.

- _ რა ამბავია ჩემს თავზე, ჯიბილო, ვთავდები ხომ კაცი...
- _ ნუ გეშინია, რომანოზ, აგერ ვარ.

- _ გეკითხები, ბიჭო...
- _ ნუ, შე კაცო, რომანოზ...
- _ ესააო წუთისოფელი, ჯიბილო?.. მიპასუხე...
- _ აბა, მოიფიქრეთ, ბავშვებო, კარგად მოიფიქრეთ და მიპასუხეთ...
- _ ბექას ჰკითხეთ, პატივცემულო მასწავლებლო, ბექას დიდი თავი აქვს...
- _ დიდი თავი და დი-ი-დი, დიდი ყურები!
- _ ბექას სამი ცოლი ჰყავს.
- _ ბექა ღამით კედლებზე დადის და არ ვარდება.
- _ ბექა სასაფლაოზე მარტო დადის და არ ეშინია.
- _ კი, ეშინია.
- _ არ ეშინია...
- _ მიშველე, დე!
- _ ბექა, რა გემართება, შვილო!

მერე ბექასა და ღამეს შორის ერთი კაცივით ჩადგა მთელი სოფელი. სოფელი იდგა ბექას წინ და ბექას განათებული თვალებით შეჰყურებდა. სოფელს ერქვა ჯიბილო, ჯიბილოს მამა, დათუკანთ ბეკო და ელამი ბენიტა. სოფელს ერქვა ჯუნა, ბოცორა, კიკილო, ფოთოლა, გუგუჩი, ქუცნია, მადონა... სოფელს ერქვა თეთრწვერა ერმალო, კეთილი გოგუცა, მძინარა თედო და სულელი ბაკურა...

- _ არ გეწყინოს, ბექა, ამათ უყვარხარ და იმიტომ გაბრაზებენ...
- _ არა, მასწ., რაც უნდა ისა თქვან...

მხოლოდ რომანოზ ნინიძე აღარ ერქვა ახლა სოფელს, მაგრამ ბექამ უეცრად იგრძნო, რომ სოფელი ადვილად არ ჰკარგავდა თავის სახელებს.

- _ ქუცნა რომ გაგილახავს იმ დღეს, ბექა?..
- _ ქუცნა, მასწ.?
- _ ჰო, ქუცნა... რატომ გალახე ქუცნა, ბექა?..

ქუსლიანთ მაკა ავად იყო და არ მოვიდა. უკვე თორმეტი დღეა, მაღალი სიცხეები აქვს მაკას და ექიმები ვერაფრით შველიან. სოფელი დიდია. უკვე თორმეტი დღეა მხოლოდ ქუსლიანთ მაკა ჰქვია სოფელს და სოფლის მშვიდ, შთამაგონებელ მზერაში ექიმები ძალას და მხნეობას იკრებენ. ბევრისშემძლეა რწმენა. მაგრამ თორმეტი დღეა, მაკას სიცხით გათანგულ სხეულს ალმური ასდის და სოფლის დაფიქრებულ მზერაში წამიერად გაიელვებს ხოლმე უიმედობა. სიკვდილი მაინც ვერაგია.

- _ არ უნდა გამელახა ქუცნა, მასწავლებლო.
- _ ესააო, ჯიბილო, წუთისოფელი?.. მიპასუხე...
- _ ნუ, შე კაცო, რომანოზ, ვაჟკაცი არა ხარ? აგერ ვარ!..
- _ სად... სადა ხარ, ჯიბილო...
- _ აგერ, შე კაცო, ა, რომანოზ!..

ვერავინ შეამჩნია, როგორ გამოვიდა სახლიდან ბექა, ეზო გადაჭრა და სირბილით სოფლის აღმართს შეუყვია. ღარის წყალს რომ გვერდი აუარა, ბექა უეცრად შედგა, სული შეუგუბდა. „მამას რომ ჩიბუხი არ დაკარგვოდა, ახლა ცოცხალი იქნებოდა.“ ქვის ყორეს ზურგით მიეყრდნო და სახეზე ხელები აიფარა...

- _ წამიყვანე, რა, მამა, გეხვეწები, წამიყვანე...
- _ აბა, მე როგორღა წაგიყვანო, შვილო, მე ხომ...
- _ მაშ, არ წამიყვან, მამა?
- _ გაეცი პასუხი, რომანოზ!

წვიმას შესამჩნევად მოეკლო, მაგრამ ქარი ისევ მძვინვარებდა და ქვიშის მარცვლებით წვრილ წვიმის წვეთებს ბექას სახეში აყრიდა.

მერე ისევ სირბილით გააგრძელა გზა. ბექა დაიღალა. გული ხელში ეჭირა და ისე გარბოდა. „მამას რომ მაშინ სახრე არ მოექნია, ახლა ცოცხალი იქნებოდა.“

„ვაი, შენს ლამარიას!“

ბექას სველ მიწაზე ფეხი უცურდებოდა, რომ არ წაქცეულიყო, მიწას ხელებს აშველებდა და მირბოდა.

„მე რომ მაშინ ქვაზე ფეხი არ ამცურებოდა, მამა ახლა ცოცხალი იქნებოდა.“

_ სად იყავი, შვილო.

_ არსად.

_ რაო, რა თქვი, სად ვიყავიო?

_ ძუძუებზე რატომ წაივლე ხელი, ლამარია?

_ არაფერია, რომანოზ, არაფერი... ბექამ მატკინა.

დიდ მუხასთან უეცრად იჭექა. ბექას გაგონილი ჰქონდა, რომ ქუხილის დროს ხესთან ახლოს ყოფნა საშიში იყო და სული შეუფუჭდა, მერე უმალ გონს მოეგო და პირველად თავის სიცოცხლეში, საკუთარ თავზე გაეცინა.

I მსახიობი:

ლევან ბრეგაძე:

აუცილებლობისა და შემთხვევითობის საიდუმლო _ აი, უმთავრესი პრობლემა, რომელსაც თავს დასტრიალებს ყარამან კიკვიძის შემოქმედება. ესაა საკითხი, რაც ოდითგანვე აწუხებს ადამიანის გონებას და რომელიც, ბუნებრივია, სიტყვაკაზმულ მწერლობაშიც სათანადოდ აისახა (გავისხენოთ, თუნდაც, ძველბერძნული ტრაგედიები). ადამიანისთვის პრაქტიკულად ადვილი არ არის შეეგუოს აუცილებლობისა და შემთხვევითობის ერთიანობის დიალექტიკას.

II მსახიობი:

* * *

მივადექი თუ არა ჩემი პატარა ჩემოდნით უზარმაზართაღიან ჭიშკარს, გამოვარდა ბიცოლაჩემი წივილ-კივილით, ეს რას მოვესწარი, ბოშო, ვის ხედავს ჩემი თვალებიო, გასაქცევი გზა მომიჭრა და გულაფართხალეული მკერდში ჩამიხუტა. მერე, ბაბუას ჯერი დადგა, ჰაიტ, შე მართლა ისაო, რა ქვია, ველარაფერი მოიგონა და ისეთი სილა მითავაზა მეტისმეტი სიყვარულით, რომ თვალები დამიბნელდა. ბიცოლას კივილზე მეზობლის ქალები მოცვივდნენ ღობესთან, ჯერ სხვათაშორის შემოიჭყიტეს ჭიშკარში, ცალ-ცალი თვალით, მერე, ვისაც რამდენით გაეხარდებოდა, იმდენით და, დამესიენ გასაჯიჯგნად... სული რომ მოვითქვი, ადამიანის შვილისგან ადვილად გამომარჩევდით.

ცოტა მოგვიანებით, მოხუცები მოჩიქრიდნენ და ბიცოლას უსაყვედურეს, ჩვენ რაღაც უბედურება გვეგონაო. რაკი უბედურება არ იყო, მათაც გაიხარეს და სათითაოდ მომეალერსნენ, ყურები კინაღამ დამაგლიჯეს.

„რა უხარიათ, არ ვიცი!“ _ ვბუზღუნებდი ჩემთვის და გულში გაჩენის დღეს ვიწყევლიდი.

ისე გაიხარეს ჩემი ჩამოსვლით, თითქოს შუაგულ ფრონტიდან დავბრუნებულიყავი ჩინ-მედლებით მკერდდამშვენებული.

_ დედა, ჭი, რა ლამაზია ე ბოშუნკა! _ აღტაცებულნი ამბობდნენ და ისევ და ისევ გულში მიკრავდნენ.

ლამაზი არა და, მეტისმეტად გამხდარი და მისულფერებული კი ვიყავი, ქალივით მინაზებულისა, და, ალბათ, ეს თუ უკვირდათ.

დამსვეს მერე მოხუცებმა მუხის ქვეშ მწვანე ხასხასა მოლზე და ისე სერიოზულად მკითხეს შვიდი წლისა და სამი თვის ბავშვს, ომი თუ დამთავრდება მალე, შენ როგორ ფიქრობ, რომ გაოცებისაგან კინაღამ თვალები გადმომცვივდა. რა გზა დამრჩენოდა, ომი, ჩემის აზრით, მალე უნდა დამთავრდეს-მეთქი, ვთქვი და ეს ამოდენა ხნის ხალხი ისე ახორხოცდა სიხარულით, თითქოს, კამფეტები ჩამომერიგებინოს სათითაოდ.

– დედას ვუტირებთ იმ... ჰიტლერია თუ ვინცლა მამამადლი! – ცოტა არ იყოს, ზედმეტებში გადავედი, – მოიცადოს! – თითით დავემუქრე. ახლა ამათ შეჰყარეს მრისხანედ წარბები და იმ უბედურს ყველა სათითაოდ დაემუქრა. მერე მკერდზე მუშტები დაიბაგუნეს და ისევ რიგრიგობით დააბრიალეს თვალები.

როცა მრისხანების ქარიშხალი ჩადგა და მათი მუქარით შეყრილი წარბები მილაგ-მოლაგდნენ, ბაბუამ თავზე ხელი გადამისვა და უკვე წყნარად ჩაილაპარაკა:

– კი, კი, იცოცხლა მამუჩამ!

III მსახიობი:

.....

ომის დროს რატომღაც ერთის სიკვდილს უწოდებენ ტრაგედიას, მოწინააღმდეგისას – არა. სინამდვილეში კი იქითაც ტრაგედიაა.

IV მსახიობი:

.....

ბოროტების საწყისი უფრო შუალედურ ადამიანებში უნდა ვეძიოთ, ვიდრე პირწავარდნილ ბოროტებში.

I მსახიობი:

.....

ნამდვილად ჰუმანისტი ადამიანისთვის არ არსებობს დროისთვის გაღებული მსხვერპლი. ჰუმანისტი თუ ხარ, ერთბაშად უნდა იყო ყველა დროის ჰუმანისტი, თორემ მომავლისთვის გაღებული მსხვერპლი ნიშნავს, ერთხელ ის მომავალი თაობაც გასწირო უფრო მომავალი თაობის ბედნიერებისთვის. სიკეთე მხოლოდ ისეთია მისაღები, რომელიც დროს გამორიცხავს. გმირობა ერთია, ჰუმანისტობა – უფრო მაღალი.

II მსახიობი:

.....

მოკალით ადამიანი ტყვეით, დასწვით ცოცხლად, აწამეთ ფიზიკურად – ეს არაა ისეთი დიდი დანაშაული, როგორც მისი გონების მართვა შენი სადავით. ნუ კლავ ადამიანის გონებას – იგი ერთადერთია მთელ მსოფლიოში, რაც არ უნდა პატარას ეკუთვნოდეს იგი. ეს აუნაზღაურებელი დანაშაულია, მას ვერ გამოასწორებს დროის უსასრულობაც, ადამიანის გონება აღარ მეორდება. არ არსებობს ქვეყანაზე უფრო დიდი ბოროტება, ვიდრე ადამიანის გონების ექსპლოატაციაა.

III მსახიობი:

.....

კაცი ერთხელ მაინც დგება იმ გუნებაზე, რომ ყველა უყვარს.

ერი თუ ერთხელ მაინც არ დადგა ამ ხასიათზე, ბოროტია.

IV მსახიობი:

....

როცა ცივილიზაცია ისევ ბარბაროსობას უბრუნდება, ეს ნიშნავს: ის, რაც აქამდე კეთდებოდა ინსტიტუტით, ახლა კეთდება შგნებით. ომები საჭირო იყო „წესრიგისთვის“ - ეს არ ესმოდათ და კეთდებოდა. ახლა ესმით და კეთდება. ხომ უბედურებაა, თუ ასეა?

I მსახიობი:

....

და, საერთოდ, მართლაც ამოდ ხომ არ ფუსფუსებენ ადამიანები? იქნებ მეტი აზრია მათ პირველშობილ ფიქრებსა და განცდებში? რაშია ცხოვრების აზრი, ტვინის ამო ჭყლეტვაში, თუ ბუნებასთან კავშირში?

(დღიურის ეს ნაწილი გადანაწილდება II და III მსახიობს შორის):

დღიური:

25 ნოემბერი. 1960 წელი.

დღეს „ნიანგის“ რედაქციაში ვიყავი. ქარჩავა არ დამხვდა. დავუცადე. მალე მოვიდა. კითხვის გამომეტყველებით შემხვდა. ასე მაშინ ხვდებიან, როცა სათქმელი არაფერი აქვთ.

_ ახლა მაინც მეტყვიტ პასუხს, _ ვუთხარი.

დიდხანს იფიქრა და ბოლოს მითხრა: _ წამოდი რედაქტორთან. რედაქტორს უთხრა: _ ამისი მასალა გაქვთ თქვენ.

_ რა მასალა? _ იკითხა რედაქტორმა.

დავიცადე, აბა, რას ეტყვის ქარჩავა-მეთქი. იმან კი მე დამიცადა. როცა ვუთხარი, ჩაიწერა კალენდრის ფურცელზე და ვნახავო, „დამამიდე“.

გამოსვლისას ვკითხე ქარჩავას: _ პასუხზე მოვიდე?

_ ან დარეკე, ან მოდი, _ მიპასუხა.

_ თქვენ გნახოთ?

_ გინდა, მე მნახე და გინდა, დარეკე.

10 დეკემბერი. 1960 წელი.

დღეს პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი შემთხვევა მოხდა ჩემს ცხოვრებაში. „ლელოს“ ვკითხულობდი, როცა მასში ჩემი წერილი „პროექტის ირგვლივ“ აღმოვაჩინე _ ესაა ჩემი თითქმის პირველი ნაბეჭდი ნაწარმოები. კარგი იქნებოდა, მის მაგივრად რამე მხატვრული დაბეჭდათ სადმე, მაგრამ რას იზამ. წერილი ძალიან შემოკლებულია, ალაც გადასხვაფერებულიც. ეს ძალიან საწყენია, მაგრამ კიდევ კარგი, მხატვრული არაა. მხატვრულის ასეთი წესით დაბეჭდვა მხოლოდ სიავაა ჩემთვის. ფდერაციის კრიტიკის შესახებ ფრაზები მთლიანად ამოღებულია. საერთოდ, ცუდი გასწორებულია.

3 სექტემბერი.

რატომღაც არ მინდა, შესავალი გავუკეთო ამ ამბავს: „ნიანგში“ დამიბეჭდეს პატარა ნაკვეთი „სიზუსტე“. მოულოდნელი იყო, რადგან ყოველგვარი ჩარევის გარეშე დაიბეჭდა. მიხარია, რაც მართალია, მართალია..

6 სექტემბერი.

მეჩხუბებიან, მეწინააღმდეგებიან ჩემი გმირები და რამდენჯერ ამ ჩხუბში თავისი გაუტანიათ, განსაკუთრებით, თუ მათთვის შეუფერებელი საქმე დავაკისრე.

დავწერე ლექსი „მიყვარს“, რომელიც, ალბათ, პირველი და ჯერ-ჯერობით ერთადერთია, რომელსაც ცვლილება აღარ დასჭირდება.

ახლა დღიურის პირველ ფურცლებს რომ ვიგონებ, მეჩვენება, რომ პატარას, მაგრამ მაინც რაღაცას მივაღწიე. ნეტავი გამიმართლდეს.

თინათინმა მითხრა. მეამაყება, შენი რაღაც რომ დაიბეჭდა, ქუჩაში თავაწეული დავდივარო.

I მსახიობი:

* * *

„როგორ არა ჰგავს ეს კაცი სხვებს, _ თვალებში შუქი ჩასდგომოდა ნათიას, _ რაზე ფიქრობს, ნეტავ!“

„ფიქრი ყოველთვის სადღაც იწყება და არ თავდება. ან არ იწყება და მაინც არ თავდება... _ განაგრძობდა ფიქრს ბექა.

„ზოგჯერ აუცილებლად უნდა იფიქრო, ან _ არ იფიქრო. კაცმა იმაზეც უნდა იფიქრო, რომ არ იფიქრო...“

ფიქრს თურმე თავისი სამყარო აქვს, კაცს _ თავისი. ფიქრში ყოველთვის რაღაც ძალიან ძვირფასია და რაღაც _ ზედმეტი. ფიქრში რაღაც ძალიან მარტივია და ძალიან ნამდვილი. ფიქრი დროსავით უწყვეტია და კაცს თანდათან აბერებს. როცა კაცს ფიქრი ეძალება და არ ფიქრობს, ესეც ფიქრია.

და კაცის ყოველი წუთი მაინც ფიქრია.

ფიქრი ადამიანს წამიდან წამამდე, წუთიდან წუთამდე ღლის და აბერებს.

ფიქრი ხანდახან დროზე სწრაფია და მუდამ დროსავით უწყვეტი.

ფიქრი არსად არ იწყება და არ თავდება. კაცი თანდათან იღლება, თავდება და ეცემა.“

IV მსახიობი:

ჯუმბერ თითმერია:

...ოცნების სამყარო მისთვის რეალურზე ნაკლებ რეალური როდია, ამიტომაც, რომ მის მოთხრობებში თითქმის დეკლარაციულად ისმის ფიქრი ფიქრზე. დიახ, ყარამან კიკვიძის მოთხრობებში ფიქრი უდიდეს ადამიანურ ბედნიერებად, ვაჟას სიტყვებით რომ ვთქვათ, „კაცობილ არსადაა“ მიჩნეული... მის მოთხრობებში მთავარია პერსონაჟების დავა საკუთარ თავთან, დავა და ეჭვი _ ვინ ვარ მე?

II მსახიობი:

.....

ღმერთი?

გამოგონილი ღმერთი არ არსებობს. არსებობს რაღაც კანონზომიერება, რაღაც სიკეთე. ღმერთი არ უნდა მოიგონო და დაემონო. ღმერთი, რომელსაც არ დაემონები, ეს სიკეთეა. სიკეთეს მხოლოდ შეიძლება მხარში ამოუდგე. სამყარო არ უნდა დაიღუპოს. ეს შენი და ღმერთის ერთობლივი რწმენაა. სიკეთეს ემსახურე, მაგრამ შენს სწრაფვაში ჰპოვებს სიკეთე თავის გამარჯვებას. სიკეთისკენ სწრაფვა იგივე სიკეთის აღიარებაა. სიკეთეს შენი რწმენაც

სჭირდება. სიკეთე თავისთავად არსებობს, მისი არსებობა შენი რწმენაა, შენი უსაზღვრო რწმენით უნდა დაამტკიცო მისი არსებობა.

I მსახიობი:

.....

გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი. ვერც ღმერთი გახდები და ვერც მხეცი. ფიქრში და შემოქმედებაში სხვაა. იქ ღმერთამდეც შეიძლება ამაღლდე და მხეცამდეც დაეშვე.

III მსახიობი:

.....

მცენარის არსებობის აზრი მუდმივ ზრდაშია. კაცის სული მარადმწვანე მცენარეა, როგორც კი ფოთლები დასცვივდება და ზრდას შეაჩერებს, გახმება.

IV მსახიობი:

....

შეაურაცხყოფა არ იკურნება, სულის გახსნილი ჭრილობაა.

II მსახიობი:

ჩვენ ყველა მოვკვდებით. სიკვდილის შემდეგ რა დარჩება? _ ვინ ვის რა დავუთმეთ, რა ვაპატიეთ.

I მსახიობი:

.....

ცოდვა? _ ღმერთმა იცის, ვინ ვის ვეკუთვნით. იქნებ ყველა ყველაშია და მაშინ, ცუდიც საერთო ცოდვაა... თუმცა... და ეს თუმცა ტვინს რომ ბურღავს.
რწმენა? მთავარია, შენს რწმენასთან არ იყო მტყუანი...
ბრძოლა? იქნებ სწორედ ისაა ბრძოლა, რომ საკუთარ თავთან იბრძოლო, თავმოყვარეობა არ დაკარგო? სიჩუმე? ბრძოლა?

III მსახიობი:

.....

ყველაფერი ეპატიება ადამიანს. სიცრუე _ არა. იყოს სუსტი, ოღონდ იყოს მართალი. სიცრუე და სიკეთე ერთმანეთთან არ თავსდება.

IV მსახიობი:

....

რასაც აიძულებ თავს, ისაა მამაცობა: თუ სიკვდილი გიზიდავს და სიცოცხლეს აიძულებ, თუ სიცოცხლე გიზიდავს და სიკვდილს აიძულებ.

II მსახიობი:

იქნებ იმ გაზაფხულზე

დედა ძალიან წუხდა:
_ მოფრობა რა შენი საქმეა, შვილო...

მამა უფრო ძალიან წუხდა, ყოველ წერილში იწერებოდა:

_ იქნებ, უკეთესი რამე მოიფიქრო...

მე უკვე მოფიქრებული მქონდა: „სწავლას ქვეყანაზე არაფერი სჯობია.“

მაგრამ ომი იყო.

დედას ღვიძლის ტკივილი აწუხებდა.

ჯუნა მესამე წელში გადადგა.

ფილო ყოველ საღამოს ჩიოდა:

_ ან თვალი მიმტყუნებს, ან ხელი, გადავჩეხავ მგზავრებს!..

მე ბევრი ვიფიქრე და, როცა საბოლოოდ გადავწყვიტე, ვთქვი:

_ მე ვატარებ შენს ავტობუსს!

ავტობუსი ქუთაისსა და ამბროლაურს შორის დაჰყავდა ბაბუა ფილოს.

მერე ფილო მოკვდა.

მამამ უკანასკნელი წერილი მოიწერა.

ომი დამთავრდა.

ჯუნა სკოლაში შევიდა. ჯუნას გარინდება დასჩემდა. ჩვენ შეგვეშინდა. ჯუნა იჯდა და ფიქრობდა...

_ საოცარი სმენა აქვს, _ თქვა ექიმმა.

დედას თვალელებში შიში ჩაუდგა.

_ ეს არაფერია, _ თქვა ექიმმა და გაიცინა, _ ეს მხოლოდ ნიჭია.

_ მე წავიყვან თბილისში, _ თქვა გენომ.

დედას ღვიძლის ტკივილმა გაუხსენა.

_ შენ ახლა სიმშვიდე გინდა, დედა!

დღე დღეს მისდევდა, ტკივილმა თანდათან უმატა...

_ ოპერაციაა საჭირო, _ თქვა ექიმმა, _ მერე მე მომიბრუნდა, _ შენ რას იტყვი...

ოპერაციამ არ გაუმართლათ.

მერე მე ვუთხარი გენოს:

_ რაღაზე შეგაწუხო, მე თვითონ წავიყვან.

ჯუნა მუსიკალურ სასწავლებელში მიიღეს.

„შოფრობა რა შენი საქმეა, შვილო,“ _ მახსენდება დედის ნათქვამი. ცუდი ხალხი არა ვართ შოფრები, ჩვენ ყველას უკეთესი რაღაცა გვინდოდა.

უნივერსიტეტს რომ ჩავუქროლე, მაშინ დამიძახა:

_ ტაქსი!

ეს ჩემი ახალი სახელია. ადრე, უბრალოდ, შოფერს მეძახდნენ. ისევ ის ძველი სახელი მერჩია, მაგრამ ამასაც შევეჩვევი! გუშინ ჯუნას სიმღერა გადმოსცა რადიომ.

მანქანა დავამუხრუჭე. მისკენ არც გამიხედია, კარის სახელურს ხელი ჩამოვკარი და დავუცადე, ვიდრე შემოვიდოდა. ჭრელი ჩითის კაბა მუხლზე გადამეფინა.

_ ავლაზარი!

არც მე გამომიჩენია ენაწყლიანობა. მთელი გზა კრინტი არ დამიძრავს.

ბარათაშვილის აღმართს მივადექით.

ეს ადრე იყო. ბაბუა ფილოს დავყავდი ხოლმე თბილისში, მანქანის ნაწილების საშოვრად რომ ჩამოდიოდა. _ გამარჯობა, თბილისო! _ ამბობდა ბაბუა ფილო. ჯერ ფართო და მაღალ ქუჩებს მომატარებდა, მერე მთაწმინდას, მეტეხს, ნარიყალას... ბოლოს, ვიწრო ქუჩებსაც არ ივიწყებდა.

_ გაგიმარჯოს, ფილო, _ ხმაურობდა თბილისი: მთაწმინდა, მეტეხი, ნარიყალა... _ ეჰეი, ეჰე-ჰე-ჰეი!..

მერე ვიწრო ქუჩები ხმაურობდნენ:

_ მაწონი, მოიცა, მაწონი!

_ ტარხუნა, კაცო!

_ შეშა, ძია შეშა!

_ რა გაცინებს, _ მეკითხებოდა ბაბუა ფილო.

_ ძია შეშა, _ მიხაროდა მე, მერე ხმას ვუწევდი, _ ეჰეი, ძია შეშა!

ძალიან კარგი რამე იყო.

„არა, ტაქსი, ტაქსი, მაგრამ, აი, კაცს რომ შეშას დაგიძახებენ...“ _ გავიფიქრე.

გამეცინა. მერე უცებ წარმოვიდგინე, რომ ტაქსი ვარ და მე _ ტაქსი _ ვიციანი. არ ვიცი, იმ წუთში რამდენად ვგავდი ბორბლებიან მანქანას, ეს კი ვიცი, ტაქსს რომ სიცილი შესძლებოდა, ალბათ, ჩემსავით სულელურად გაიცინებდა.

„რას მივედ-მოვედები!“

_ გააჩერეთ! _ მითხრა ჩემმა თანამგზავრმა, კარი გააღო და, ის იყო, მანქანიდან გადასვლას აპირებდა, რომ უცებ მისკენ მივბრუნდი და ვკითხე:

_ ვინ გასწავლათ ჩემი სახელი?

ეს იყო და ეს. მეტი აღარაფერი მითქვამს. გოგონა თურმე ისეთი ლამაზი ყოფილა, ისეთი ლამაზი!.. მუშტისოდენა თვალები შემომანათა და ღიმილით დამშორდა.

ანგარიშმიუცემლად მანქანიდან გადმოვედი. გოგონა მოსახვევს მიეფარა. მზეს თურმე ქალად გადაქცევა შესძლებია, ჩითის კაბა ჩაუცვამს, მე მანქანაში მეჯდა და არ ვიცოდი. მერე მუშტისოდენა ბრდღვიალა თვალები შემომანათა მზემ და მაღალი ქუსლების ბაკაბუკით მოსახვევს მიეფარა. მე კი გაოგნებული ვიდექი და ვგრძნობდი: სამუდამოდ ვკარგავდი იმ ღიმილს, გული რომ გამოუთქმელი ნეტარებით ამივსო, ვკარგავდი ყველაზე უფრო ძვირფასს, რაც კი ცხოვრების გზაზე შემხვედრია... და მაინც მოჯადოებულებით ერთ ადგილას ვიდექი, საქმეს ვერაფრით ვშველოდი.

IV მსახიობი:

* * *

წუთები, მხოლოდ წუთები ბედთან
შეხვედრის _ ქარის ფრთები და ქროლვა.
ღმერთო მაღალო, დიდება შენდა,
რამეთუ წუთით შემიტკბობ ხოლმე.

რამეთუ ქროლვა დასაბამია
დროის და ფიქრის არგასრულების.
ჯერ არის _ რწმენა ჰკლავს ადამიანს,
მერე იმედი აშთობს სრულებით.

შენ გხედავ ნისლში, შენ გხედავ ქარში,
როცა ძალიან მიჭირს _ ყოველთვის,
როცა მტანჯველი ფიქრები ამშლის,
ყოველთვის, ხსნაო ჩემო, ყოველთვის...

რამეთუ თრთოლვაც დასაბამია
ხსნის, არამღვრევის, არგამრუდების,

და...
 ვინ სად მიდის,
 და ვის რა მიაქვს,
 ვინ ზღვარს გავცდებით,
 ვინ ვუბრუნდებით.

III მსახიობი:

* * *

რატომ გამომაგდეს საბავშვო ბაღიდან?
 არ ვიცი.

მამამ თქვა, აუტანელი ხასიათის გამოო. დედამ თქვა, ეშმაკმა ნუ იცის შენი თავიო. მე არც „აუტანელი ხასიათი“ ვიცი რა არის და არც „ეშმაკმა ნუ იცის შენი თავი“. ალბათ, ცუდი ბიჭი ვარ და იმიტომ. „აუტანელი ხასიათი“, ალბათ, ძალიან ცუდ რამეს ნიშნავს და „ეშმაკმა ნუ იცის შენი თავი“ – მთლად უარესს.

რატომ ვარ ცუდი ბიჭი?

დედამ თქვა, ვისაც დედა და მამა უყვარს, კარგიაო. მე ძალიან მიყვარს დედიკო და მამიკო. მართალია, ბევრი რამ არ ესმით, მაგრამ მაინც. მე რომ სასაცილოს ვიტყვი, ისინი იბღვირებიან. ხანდახან ისეთ რამეს ვიტყვი, მგონია, იტირებენ, ისინი კი იცინიან. კარგ რამეს გავაკეთებ, ცუდიაო. იმ დღეს საათი დავშალე, აბა, უკეთესს რას მოიფიქრებს კაცი, და კინაღამ გამტყეპს.

ძაღლებს და კატებს შესანიშნავად ვაჯავრებ, მამალივით ყვილიც ვიცი, წიგნის ფურცლებიდან რასაც გინდა, იმას გამოვჭრი. მეტი რა ვქნა?

ნეტავ, რა ჯანდაბაა ეს აუტანელი ხასიათი?!

ჰო, კიდეც ის, „ყაყაჩოსა სიწითლითა“ ვიცი ზეპირად.

_ მამა, ყაყაჩო რა არის?

_ ყვავილია, _ ამბობს მამა.

_ მერე რატომ ყვავილს არ დაწერენ?

_ ყვავილი იაც არის, ენძელაც, ვარდიც. ზამზახიც...

კიდეც რა არის, მამა, ყვავილი?

_ ყოჩივარდა, ია-ია, ფურისულა...

_ აზალია, შროშანა, ღიღილო... _ ამბობს დედა.

ძია მიხამ რომ მითხრა, ჩემს გოგონას ძალიან უყვარს ყვავილებიო, მე ვუთხარი, მაკასაც უყვარს-მეთქი. მაკა ვინ არისო, მკითხა. ჩემი მეზობელია-მეთქი. მერე, საიდან იცი, რომ ყვავილები უყვარსო. საიდან და, სულ უშველებელ წითელ ვარდებს ხატავს-მეთქი. ყოჩალ, გცოდნიაო, მითხრა ძია მიხამ, შენგან მართლა კარგი მეფოლადე დადგებაო. საიდან, მე ხომ ყვავილების გამყიდველი უნდა გამოვიდე-მეთქი! მე ასე მითქვამს და აი, ვნახოთო. ვნახოთ!

_ დედა, რატომ ჰქვიათ ყვავილებს ლამაზი სახელები?

_ თვითონაც ლამაზები არიან და იმიტომ.

_ კიდეც რა არის, დედიკო, ლამაზი?

_ სიკეთე.

_ სიკეთე ყვავილია, დედა?

_ ყვავილზე უფრო ლამაზია, _ ამბობს დედა, _ ბევრად უფრო ლამაზი.

_ ვარსკვლავებიც ხომ ლამაზები არიან, დედა?

_ ძალიან ლამაზები.

_ სიკეთე?

- _ უფრო ღმაზი.
- _ სიკეთე ყველაფერზე ღმაზია, დედა?
- _ ჰო, ყველაფერზე.
- _ ყველაფერზე, ყველაფერზე, დედა?
- _ ჰო, ყველაფერზე, ყველაფერზე.
- _ სულ ყველაფერზე, ყველაფერზე, ყველაფერზე?..
- _ ჰო, _ იცინის დედა.
- _ რატომ იცინი, დე?
- _ სასაცილო ხარ და იმიტომ.

I მსახიობი:

* * *

რატომ მოიკლა თავი? _ ამ კითხვაზე პასუხი საერთოდ არ არსებობს. რატომ მოვიკალი? _ ეს უკვე პათოლოგიაა და აბსურდია. რისთვის ვიკლავ თავს? _ ეს იგივეა, თქვა, ათი წლის შემდეგ რის გაკეთებას შეძლებ. ახლა უკვე ის თქვენი შთამბეჭდავი სიტყვებიც: თავი მოიკლა, იმიტომ, რომ სხვანაირად არ შეეძლო, _ მხატვრულ შედარებასავით მომწუსხველ და თვალთმაქცურ სიცხადედ მესახება. თვითმკვლელობის მიზეზი თურმე ისევე რთული და ამოუწურავი სამყაროა, როგორც ყველა სხვა სამყარო, როგორც თვალწინ აორთქლებული წყლის ერთი რომელიღაც ატომი.

ადამიანი იკლავს თავს რაღაც მნიშვნელოვანი ამბისთვის და ეს რომელ უმნიშვნელო ამბავს დაემთხვევა, რომელ უმნიშვნელო ამბავს ხვდება წილად იყოს უკანასკნელი, სრულიადაც არაფერს არ ნიშნავს...

...გათავდა, ყველაფერი გათავდა.

მე არ ვეკუთვნი ადამიანთა იმ რიცხვს, რომლებიც მთავარის დამთავრების შემდეგ ფაცურობენ.

II მსახიობი:

* * *

კაცი წაიქცა! _ დაიძრა ჭორი,
 მოედო ქუჩებს, ბანებს, აივნებს,
 შენ ჩემო გზაო, და პურო ჩემო,
 ჩემო ღმაზო რწმენავ, _ ვაიმე! _
 რა წამიერი ყოფილა კრძალვა,
 რა წამიერი ყოფილა რიდი,
 ამაყი კაცის, ამაყი სულის,
 მე ასე მწამდა და ასე ვთვლიდი,
 ჩემის გაგებით და ჩემის გზნებით,
 ჩემის განგებით, აწ გარდასულით...
 რწმენა, რომელიც ცეცხლად ანთია,
 რწმენა, რომელიც მზედ დაგვბრიალებს,
 არ არის ერთის, და მხოლოდ ერთის,
 რადგან ერთია და მხოლოდ ერთი
 თვით მისი სახე, მისი ხატება,
 ვაი მას, ვინც მის სიწმინდეს შერყვნის,
 ვაი ჩვენ _
 ყველას! _

ცოდვილთ თანაბრად...
უკეთუ ხატი დავამხეთ ერთი
და დავრჩით ათას ხატის ანაბრად.

IV მსახიობი:

* * *

„დღეს რაღაც უნდა მოხდეს!“ – და მოსახდენის გარდუვალობაში ისე ღრმად დავრწმუნდი, რომ თითქმის ძალდაუტანებლად ვუთხარი გოგონას:

– აქ ჯდომას კაფეში ჯდომა ჯობია, მოდი, წავიდეთ.

– რა თქვით?

– ჰო, კაფეში... იქ დიდი მინებია და შიგნიდან ასე აწერია: ე ფ ა კ.

– კიდევ რა იცით?

– ჭადრაკი სულაც არაა თამაში, ის ბრძოლაა, შიში, სიკვდილი, დამარცხება... ჭადრაკი ლტოლვაა, ძიება... მოკლედ, ცხოვრება.

– თამაშიც.

– ჰო, თამაშიც... ცხოვრებაც ასეა.

– მე ძალიან მიყვარს ჭადრაკი.

– ჭადრაკში ათასი ჯუნგლი და ლაბირინთია... და მაინც ყველაფერი ერთ წესს ემორჩილება: აუცილებლობას! ეს საშინელებაა... მაგრამ ჭადრაკი მაინც ლამაზია, მომხიბვლელი...

– მერე რატომ?

– იმიტომ რომ ჭადრაკში შეცდომებიცაა... შეცდომებს კი მხოლოდ ადამიანები უშვებენ...

რაღაც დამავიწყდა და შვებით ამოვისუნთქე, მერე ისევ გამახსენდა, მერე დამავიწყდა...

ყველაფერი აუცილებლობის გამო ხდებოდა:

– წავიდეთ, – თქვა გოგონამ.

წავედით. „რა უცებ მომენდო!.. თუმცა რა, რატომ არ უნდა მოგენდოს... ზიხარ შენთვის ბაღში და წიგნს კითხულობ...“ და უცებ, წიგნის მიმართ განუსაზღვრელი მადლიერების გრძნობით ავივსე. „ეს წიგნია, ბატონო, წიგნი!“ წიგნია, ყველაფერს რომ სიყალბის სამოსელს ხდის და ამარტივებს, აუბრალოებს. რა კარგები იქნებოდნენ ადამიანები, წიგნებს რომ უჯერებდნენ, და „რეალობანას“ არ თამაშობდნენ.

– მართლა ისე სწერია, – თქვა, როცა მაგიდას შემოვუსხედით და თითი მინისკენ გაიშვირა.

– უყურე, მართლა!

– ჩვენ ახლა ბევრ ფულს დავხარჯავთ. – შემაშინა.

– მოითხოვე, რაც გინდა, მზის ასულო.

– რატომ, მზის ასულო?

– ასეა ზღაპრებში.

– არ მახსოვს.

– რას ისურვებ, მზის ასულო.

– ერთ ყავას.

– კიდევ.

– ისევ ყავას.

– გიყვარს?

- _ ახლავე დარწმუნდები.
- _ შამპანური?
- გოგონამ მზერა გადმომკრა.
- _ შენ, ალბათ, გგონია, რომ სხვა დროსაც წამოვსულვარ ასე...
- _ რატომ.
- _ დაუჯერებელია და იმიტომ... _ მითხრა.
- _ მე მჯერა.
- _ ეგ რა წიგნია? _ მკითხა.
- _ ესა? _ ვთქვი და უცებ მოვიწყინე. სხვა დროსაც დამმართვია ასეთი რამ, მაგრამ ასე ძალიან არასდროს. მზის ასულს წიგნის თავფურცელი ვაჩვენე. თავი დამიქნია, _ ზღვაში დაიხრჩო, _ ვთქვი ავტორზე.
- _ რაღაცას ამბობენ.
- _ ჰო, ალბათ... აქაც სულ სიკვდილზე წერს... ჰოდა, ერთხელაც...
- _ მართლა ხდება ასე? _ იკითხა.
- _ რა ვიცი...
- _ ხდება. _ თვითონვე მომიგო.
- _ ეს სრულებითაც არაა სისულელე... პირიქით, სიბრძნეა... იცი რა, ბევრს რომ იფიქრებ...
- _ შენც მოიკლავ თავს?
- _ მე არა.
- _ რატომ?
- _ იმ სიბრძნის მერე კიდევ არის ახალი სიბრძნე...
- _ რა სიბრძნე?
- _ ის, რომ თავი მაინც არ უნდა მოიკლა...
- _ რა იცი?
- _ ვიცი. მეტსაც გეტყვი...
- _ ილაპარაკე.
- _ რა და, უფრო იქით კიდევ მეტი სიბრძნეა...
- _ ის რაღაა.
- _ ისევ თავის მოკვლა...
- _ მერე.
- _ მერე აღარ ვიცი, მაგრამ, ალბათ, ის, რომ...
- _ და ასე, დაუსრულებლად...
- _ ჰო, ასე...
- _ მერე აქედან რა გამოდის?
- _ ის, რომ თავი არ უნდა მოიკლა.
- _ მართლაც ასეა.
- _ ასეა, მზის ასულო.
- _ რა კარგია არა, რაიმე რომ გწამს?
- _ კარგია, მზის ასულო.

III მსახიობი:

თედო ბექიშვილი:

ყოველი ფრაზა, ყოველი დეტალი და პასაჟი ნამდვილი მწერლის სულშია გამოვლილი და გამოტანჯული. იოლად არაფერი უკეთებია, იოლად და ჰაიპარად არ უვლია დედამიწაზე, ფიქრით, ტკივილით, საზრუნავითაა დამუხტული მისი ყოველი მოთხრობა და ყოველი მოთხრობა ბიოგრაფიაა მისი სულისა.

II მსახიობი:

* * *

_ მკვას ძალიან უყვარხარ, _ მეუბნება თეონა, _ ჰო, რას იცინი... შენც გიყვარს!..

მეც, არა და არა-მეთქი, არ ვამტკიცებ. ქვას არ ვაგდებ ზევით და თავს არ ვუშვებ, მე ყოველთვის ვცდილობ ასე მარტივად არ დავმთავრდე _ ეს აუცილებლად ასე უნდა იყოს, ეს _ არა!

მე სხვა რამეებშიც ასე ვარ; ათასი რაღაც მიყვარს, ათას ღობეს ვედები. მე არასოდეს არ ვცდილობ რაღაც არ მიყვარდეს. მე მხოლოდ იმას ვცდილობ, რაღაც ყველაფერზე მეტად მიყვარდეს, რაღაც არა და არ მტოვებდეს, რაღაცას ვერაფრისთვის ვერ ვთმობდე... ეჭვი კაცს არ უნდა გარყევდეს. ეჭვი უნდა განჯღრევდეს, ეჭვით მუდამ რაღაც იწყება, ეჭვით მუდამ რაღაც მთავრდება... მერე იწყება ბრძოლა, ძნელი და უთანასწორო, ჩუმი და სამკვდრო-სასიცოცხლო, საკუთარ გულთან და ნერვებთან, იმ ერთი ვინმეს გულისთვის, იმ ერთი რამეს გულისთვის.

(სენტენციების ეს ნაწილი გადანაწილდება I და IV მსახიობს შორის):

.....

ერთხელ სულ პატარა რაღაც დაუთმო კაცმა თავის მეორე მეს... აქედან დაიწყო ჟამი წარწყმედისა.

.....

სხვას ლანძღავდე, არაფერია. მაგრამ ლანძღავდე საერთოდ ადამიანს, ეს შენს სიცუდეზე ლაპარაკობს, ე. ი. ვერ მოგინახავს შენს თავში ისეთი, რაც ადამიანს გაამართლებს.

.....

სიჯიუტე კი ზოგჯერ იმ კაცის თვისებაა, რომელიც სამყაროს ურთულეს მოვლენებს საკუთარი მასშტაბით ზომავს, რაც მის ძალას აღემატება, არც სურს, რომ გაიგოს.

.....

გულგრილობა ერთბაშად უტიფრობაცაა და ვერაგობაც.

.....

ცუდი ჩანს, სიკეთე უნდა აუხსნა, დაანახო.

.....

ისე ვეგუები ყველას, ხანდახან მგონია: ეს ხომ არაა სწორედ ის, რომ ადამიანს შეუძლია მიიღოს ყველას სახე, რომ ერთია ყველა და ყველაა ერთი.

.....

იმედი კი არ გვეხმარება ჩვენ, ჩვენ უნდა დავეხმაროთ იმედს, რომ არ ჩაკვდეს ჩვენში, ეს უმწეო და ერთადერთი ჩვენი მეგობარი.

მართლაც, კიდევ რომ ქვეყანა ღაღადებდეს ბოროტებას, გამოსავალი ერთია, გქონდეს იმედი.

.....

ადამიანის რწმენას საბოლოოდ ვერაფერი შემირყევს... ადამიანები თავისი სისადაგლითაც უნდა შეიყვარო, რაღაც კარგი ყველაში უნდა ეძიო.

III მსახიობი:

გამარჯობა, ლი! (ჯარისკაცის წერილი)

შენ, ალბათ, გახსოვს, ლი, ჩემი ძველი წერილები. მაშინ ომი არ იყო და მე მეჩვენებოდა, რომ სწორედ ასე იყო საჭირო: „ჩემო ძვირფასო ლილი, ჩემო სიცოცხლე, ჩემო...“ მაგრამ, ახლა ომია, ლი, და მე სანგარში ვზივარ, ბიჭები სულგანაბული ელიან იერიშის მაუწყებელ ნიშანს, და დროდადრო ყუმბარის აფეთქების ხმა ერთმანეთის თვალეხს მოგვაძებნინებს, მერე იმ შემკრთალ თვალეხში ღიმილი ჩაგვიდგება ხოლმე და ყველა ჩვენს საქმეს განვაგრძობთ. ახლა არ შეიძლება, ლი, ძველებურად წერა. ჩემს წინ ბექუ ზის და ცოლის ფოტოსურათს ათვალერებს, მათე შამხანის ლულას ეფერება და თვალეხი ისე უბრწყინავს, რომ, ცხადია, ვიღაცას იხსენებს. საშინელებაა, ლი, ვინმეს იხსენებდე და ალერსით გამთბარი თითები შამხანის ცივ ლულას ეხებოდნენ. რუთა დროდადრო მუხლებზე წამოიწევს ხოლმე და ჩემს წერილში იცქირება, ერთი წამით წარბებს შეიჭმუნის და მერე იღიმება. რუთას ეხარება წერილის წერა და უხარია, რომ სადღაც ვიღაცას იქნებ მის ფიქრებს გადასცემენ. ყველაფერს ვერც გადმოგცემ, ლი, მაგრამ ჩემს გარშემო ისეთი მკაცრი და ძუნწი სურათებია, რომ წარმოუდგენელია ახლა ძველებურად წერა.

– რუთა, ბიჭო, იქნებ რა მინდა, რომ დავწერო!..

– ისეთს რას დაწერ, რომ მე გამიკვირდეს, _ მშვიდად მპასუხობს რუთა და თუთუნის გასახვევად ემზადება, _ ჯანიბეგი კარგი ადამიანიაო ახლა რომ დაწერო, ისიც არ გამიკვირდება.

აქ ტყვიებისა და ცეცხლის პირისპირ, სულ სხვანაირად ფასდება, ლი, ადამიანი. ეს შეფასება სულ სხვაა, ბევრად უფრო ნამდვილი და მკაცრი და ცხოვრებაში თურმე რა ხშირად ვტყუვდებოდით!..

_ კიდევ ის... რუთა მფრთხალია-თქო, და ნამდვილი დედალი, _ იცინის რუთა.

ჰო, გულოვნობაც თურმე სულ სხვა რამეა, ლი. გუშინ დაჭრილი ჯარისკაცი მოათრია რუთამ. ზეცა და მიწა ერთმანეთში ირეოდა და რუთა ძლივს გადაურჩა მტრისა და ღვთის რისხვას. თავი რომ სამშვიდობოს დაიგულა, მაშინ კი უმტყუნეს მუხლებმა და შიშისაგან გული წაუვიდა. გულოვნობა თავიდან ბოლომდე ერთი ყოფილა, ლი... სინდისი. ეს მე გუშინდლამდეც ვიცოდი, ვიცოდი გუშინწინ, იმის წინაც, დიდი, თითქოს ძალიან დიდი ხნით ადრე, მაგრამ არ ვიცოდი სანამ ეს ომი თავისას იტყოდა. რუთა კი, რუთა ისევ ხელებში მიყურებს და ბავშვივით წითლდება.

უცნაური რამ ვართ, ლი, ადამიანები... ვფიქრობთ ძალიან ბევრს და ვიგონებთ ათას რამეს, რაც სრულებითაც არ გვჭირდება... ან არ ვფიქრობთ და მაინც ვიგონებთ კვლავ ათას რამეს, რაც კვლავ ფუჭ და ზედმეტ გამოწვინად გვრჩება. დარდიც ხომ ადამიანის გამოგონილია, ლი... რად უნდა გვაკრთობდეს შემთხვევა, თუ ის უკვე მოხდა... ან, არ მომხდარა და ჩვენს დაუკითხავად უნდა მოხდეს. რად არ უნდა გვქონდეს თუნდაც იმხელა სიბრძნე, რომ არაფრის გვეშინოდეს. რატომ ვერ ვუსწორებთ თვალს მომავალს, რატომ ვიგონებთ ამდენ უცნაურ რამეს, და ვარქმევთ მათ შიშს და უიმედობას... მერე, რამდენი უაზრობა მოსდევს, ლი, შიშსა და უიმედობას, რა მარტივი და ნათელი იქნებოდა ცხოვრება მათ გარეშე...

ო, ეს ომი, ლი!.. და მერე ვინ იცის, იქნებ, ესეც შიშმა და უიმედობამ...

ასეა თუ ისე, მე ახლა სულ სხვანაირი ფიქრები მაქვს, ლი... ეს ჭურვის ხმა იყო, ლი... შენ, ალბათ, შეკრთი... ჩვენი სანგრის მახლობლად დაეცა და თავზე მიწა გადმოგვავარა... ბექნუმ თქვა: ცოტათი შეცდნენ, მაგრამ ეგ სულ უბრალო ამბავია, ქვემეხის ლულას უნდა ოდნავ მარჯვნივ შემობრუნებაო... ადამიანები... სიკვდილი... სიცოცხლე... ერთი კია, ლი, განსაცდელი რაც უფრო ახლოა, მით უფრო მხიარულად ვეწყობით... დიდ სერიოზულობას ვერ დავიკვებნით ადამ და ევას შთამომავლობა...

შენ, ალბათ, თოთიაც გახსოვს, ლი... მისი გაუთავებელი ფუსფუსი და ოფლის ღვრა უთენიადან გვიან ღამემდე, მისი დამცინავი გამოხედვა, თუ ვინმეს წუთით მომცდარს შეისწრებდა... შენ მაშინ არ მსახურობდი, ლი, არც თოთიასებური ფუსფუსი შეგეძლო უთენია დილიდან გვიან ღამემდე და გეჩვენებოდა, რომ თავის მართლება იყო საჭირო... შენ მაშინ სწუხდი, ლი, მაგრამ აზრის გამოთქმას ვერ ახერხებდი... გრძნობდი, რომ სადღაც მართალი იყავი და პასუხიც ნათელი იყო საჭირო, მაგრამ თოთიას გაოფლილი სახე და შრომით დაძარღვული ხელები გაკრთობდა... რა იცოდით შენ და თოთიამ, რომ მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისათვის დახარჯული უღიმღამო სიცოცხლე, შენს _ თუნდაც აუხსნელ _ მაგრამ სხვათა ბედისთვის ფიქრში გატარებულ წუთებს წინ ვერ დაუდგებოდა..

ერთხელ ჯუბანთ ბაკურამ მითხრა... რას გადამეკიდა ეს ჯუბანთ ბაკურა!.. ჭიშკრის სვეტზე ჩუქურთმას ამაგრებდა და მკითხა, ცოტა ზევით ხომ არ აჯობებსო... ვეღარ მოვითმინე და სულერთია-მეთქი, ვუთხარი, რომ მოკვდები, მერე რა მნიშვნელობა ექნება იმას, ჭიშკრის შესასვლელთან თავს არტყამდი რამეს, თუ არ არტყამდი, მეთქი. სიკვდილზე მე არ ვფიქრობო, შემომიღრინა. გემინია-მეთქი და იმიტომ.

_ შენ არ გემინია? _ დაინტერესდა.

_ კი მემინია... უაზრო სიკვდილის...

_ უაზრო სიკვდილი რაღაა...

_ უაზრო სიცოცხლე.

ვერაფერი გავიგეო, მითხრა.

_ აბა, მე რა გიყო!

დრო, ლი, დრო!.. ძალიან ცოტა დროა იერიშის დაწყებამდე!.. რაღაც უნდა მეთქვა, ლი, რაღაც ისეთი, რომ... ეჰ, ლი, ვინ იცის, იტყვის თუ არა ვინმე ოდესმე...

თამილა! ჩვენი თამილა, ლი, ჩემი... შენი თამილა... არ ვიცი, აქამდე რატომ არ ვახსენე... იქნებ ომმა გამაუხეშა... ან, იქნებ, განგებ... და თუ მე... ჰო, ლი, ნუ მოაბეზრებ-მეთქი, თავს ჩემზე ლაპარაკით... ერთბაშად უთხარი, ერთხელ და როდისმე, თუ რამ გქონდეს ჩემზე დიდი სათქმელი... გამიგე, ლი, არ მინდა ჩრდილივით დასდევდეს ჩემი მოგონება... დაე, ერთბაშად დამინახოს... და არ იქნება მაშინ უმამო...

თავისუფლება, ლი!.. ჰო, ჩემო, ნურასოდეს დაივიწყებ... მიეშველე მხოლოდ მაშინ, როცა დასჭირდე!.. უთხარი, რომ არსებობს ბედნიერება და რომ ადამიანები ამას მხოლოდ მაშინ იგებენ, როცა მოიხედავენ... ჰო, ლი, ასწავლე ბედნიერება, დაე, მუდამ შეეძლოს მისი შემჩნევა, და არ დასჭირდეს უკან მოხედვა...

I მსახიობი:

.....

ყველა სიტყვა თავის ადგილზე უნდა იდგეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი სიტყვა მოულოდნელია და მიგნებული. ყოველი სიტყვა უნდა გვაოცებდეს თავისი ერთადერთობით და მიგნებულობით.

II მსახიობი:

.....

ჩემის აზრით, თვით სერვანტესის გენიალური ნაწარმოებიც კი მნიშვნელობას დაკარგავდა, რომ მასში ასე საოცრად შეზავებული არ იყოს ერთმანეთთან ტრაგიკული და კომიკური. ჰაშევის „შვეიკი“, ალბათ, იმიტომ ვერ ამაღლდა „ესპანელ იდალგომდე“, რომ იქ კომიკური მეტისმეტად სჭარბობს ტრაგიკულს. ხოლო დავით კლდიაშვილის ნაწარმოებთა ბრწყინვალეობაში მხოლოდ იმათ ეპარებათ ეჭვი, ვინც მისი გმირების კომიკურ ხასიათებში ტრაგიკულ საფუძველს ვერ ამჩნევენ. არც არსებობს, ალბათ, ცხოვრებაში არავითარი პრიმატი, რომელიც თეთრსა თუ შავს, სიკეთეს და ბოროტებას, ტრაგიკულსა და კომიკურს რაღაც განწყენებულ, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ადგილებს მიუჩენს.

III მსახიობი:

....

ხელოვნება სწორედ იმით განსხვავდება ხელოსნობისაგან, რომ ის არაა რეალური, ნატურალური. მისი მოწოდებაა, იყოს იმდენად არარეალური, რომ მიგვითითოს უამრავ რეალურ შემთხვევაზე.

მწერლის მოწოდებაა, შექმნას იდეალური, რათა ადამიანს რეალური სწრაფვა ექნეს იდეალურისკენ.

IV მსახიობი:

მოუხელთებელი წამი

ის, რაღაც დიდი, ახლა იწყება,
 იქნებ ავზავადე,
 ავზვირთდე იქნებ,
 ჰგავს ზეცა დიად თავდავიწყებას,
 მზის სხივი _ ქალის ჩამოქნილ თითებს.

წამმა ცეცხლივით სადღაც იფეთქა...
 მე მხოლოდ ლანდი დამრჩა ოცნების...
 და მზემ სხივები ჩამოიბერტყა,
 როგორც ჭადარმა ხმელი ფოთლები.

III მსახიობი:

დღიური:

7 ოქტომბერი.

დღეს შალვა აფხაიძესთან ვიყავი. პასუხი მაინტერესებდა ჩემი ლექსების შესახებ.

_ შენ, კაცო, გამოცდილი პოეტი ყოფილხარ, _ მითხრა. და „ბარდები გადიბარდნება“ წაიკითხა ჟესტებით და მოწონების ნიშნით. ნიჭიერი კაცი მიწოდა. თეიმურაზ ჯანგულაშვილს გადასცეს ჩემი ლექსები. მანაც მოიწონა, ოღონდ, აფხაიძესავით თემატიკის სიმცირე მისაყვედურა. „სამოქალაქო მოტივზე მოიტანე ლექსები და ტრაქტორივით შევუბამთ ამ ლექსებსო.“ მანაც „ნიჭიერ კაცად“ მომნათლა და იმედი მომცა დაბეჭდვის შესახებ. ვნახოთ.

აფხაიძის შეფასება განსაკუთრებით მესიამოვნა, რაც არ უნდა იყოს, კრიტიკოსია და მგონი, არც თუ ცუდი.

ეს უკვე გარკვეული გამარჯვებაა.

II მსახიობი:

9 მარტი.

1956 წლის ცხრა მარტი არავის გახსენებია.

დღეს დავწერე ლექსი „შენ ჯავის მთებში გიგე სასახლე“. ლექსი ჯავაში გატარებულ პერიოდთანაა დაკავშირებული. მისი მუზა დუშეთელი ნ. ფოფხაძეა. კარგია, თუ ჟუჟუმ ცუდად არ გამოგო.

ვფიქრობ წიგნის მომზადებას „ლექსის სათავეებთან“

III მსახიობი:

10 მარტი.

დღეს კვლავ მივედი ჯანგულაშვილთან.

იცოდვილა, ივანეზა და ცალკე ოთახში გამიყვანა. ფერწასულმა მითხრა:

– ამ ორ კვირაში აუცილებლად იქნება. ორი დღის წინ მოვიდა მთვრალი და ვუთხარი. იუარა, ყარამანი რა პოეტური სახელიაო, – სახტად დავრჩი, – მაგრამ მაინც დამეთანხმა.

– აღარ შეგაწუხებთ, კარგად ბრძანდებოდეთ.

მიშველეთ, ვგიჟდები!

II მსახიობი:

7 აპრილი.

ახალი ფურცელი.

კარგი? – არა.

საინტერესო. უცნაური.

ლექსი დამიბეჭდეს. სად, მერე? „ლიტერატურულ გაზეთში“. ჰოი, უცნაურობავ, ვინ მოელოდა ამას. დაბეჭდვას? არა. დაბეჭდვა რა შუაშია. ვინ მოელოდა, რომ ჩემი ლექსის მაგივრად ჩემი სახელის ქვეშ ჯანგულაშვილის ლექსს დაბეჭდავდნენ. დმერთო, რატომ ხარ ასეთი უცნაური, რას არ ჩაადენინებ ადამიანს.

თავის მოკვლა რატომ ვერ შევძელი. ესეც უცნაურია. იქნებ, უფრო ცინიკურად ვარ განწყობილი. არ ვიცი.

ერთადერთი გამოსავალი კი ვნახე: ლექსი ახლიდან უნდა დაიბეჭდოს და ორივეს გვარი დაეწეროს. აკი, მართლაც ორივემ დავწერეთ ის ლექსი. ამან გამამხნევა, და, არა თუ გამამხნევა, თეიმურაზი კიდეც დავპატიჟე.

IV მსახიობი:

....

– ეს როგორ მოიფიქრეთ?

წერის დროს უნდა ეცადო, ძალიან სერიოზული არ იყო და ყველაფერს მოიფიქრებ-მეთქი.

.....

არა მარტო აზრს აქვს ქვეტექსტი, არამედ სიტყვასაც. მაგრამ სიტყვაში ქვეტექსტის ჩაქსოვასაც დიდი ზომიერება და ალღო უნდა.

II მსახიობი:

მამუკა წიკლაური:

ის როგორღაც თავისდაუნებურად მიდიოდა სიყალბის, სქემების, შაბლონის წინააღმდეგ მწერლობაშიც და პირად ცხოვრებაშიც... უძილო ღამეებში, ტკივილის მარწუხებში გამოვლილი ფიქრი და სიტყვა მოჰქონდა და, სწორედ ის სინაღდე – მოქალაქეობრივი სინდისი, თავის თავში ჩაკლული პატივმოყვარეობა არ აძლევდა „არალიტერატურული ხერხებით სიარულის“ უფლებას. პარადოქსი: ხელისშემშლელ პირობად ის ფაქტიც გახდა, რომ ლიტერატურაში ის უკვე ოსტატად მოვიდა.

I მსახიობი:

.....

_ რაზე უნდა წერო?

_ რაზე? თუნდაც იმაზე, რომ მე ყველასგან განსხვავებული ცხოვრება მაქვს. ყველგან მარტო ვარ. არსადაა ჩემი ადგილი. უფრო სწორედ, ეს „არსადაა“ სწორედ ჩემი საკუთარი ადგილი. შენც დაახლოებით ასე ხარ, მაგრამ მხოლოდ დაახლოებით. შენ კიდევ რაღაც „წესრიგი“ გაქვს, რაღაც ჩარჩოში ჩაეტიე. მე ესეც არა. მე სამსახურსაც ვერ შევეგუე ისეთს, სადაც წესრიგია. ჩემი სამსახურიც ისეთივე არეულია, როგორც... შენ ხდები ზომიერი და ცხოვრების კანონებისადმი ანგარიშგამწევი, დამთმობი...

შემოქმედი კაცი კი – ესაა ცხოვრების რიტმში ჩაუმჯდარი (და არა რიტმიდან ამოვარდნილი), დროსა და სივრცეში განუპიროვნებელი.

III მსახიობი:

.....

ჩემი პროზის თავისებურება ისაა, რომ მე ვგრძნობ და კიდევაც ვამტკიცებ, რომ პროზასა და პოეზიას მეტი საერთო აქვთ ერთმანეთთან, ვიდრე ჩვენ მათ ამ საერთო ნიშნებს ვიყენებთ. არ შეიძლება პოეზიისა და პროზის დაპირისპირება, ისინი ერთ მთლიანს წარმოადგენენ და მათი დაყოფა შეუძლებელია.

რაღაც შუალედური უნდა გამოინახოს პროზასა და პოეზიას შორის, ერთიც უკიდურესობაა და მეორეც. ამიტომ, არც ერთია ყოვლისმომცველი და არც მეორე.

I მსახიობი:

.....

რა არის ხელოვნება?

ხელოვნებაა ყველაფერი, რაშიც ერის გემოვნება მჟღავნდება...

III მსახიობი:

.....

ვერ დაწერ, თუ რაიმე დანაშაული მიგიძღვის. სხვას ვერ მოუწოდებ იმისკენ, რასაც შენ გვერდი აუარე.

I მსახიობი:

.....

რომ გაიმარჯვო, სადღაც ჭკვიანი კაცი უნდა გეგულეობდეს.

II მსახიობი:

ნამცეცმა სიხარულმა

_ ახალგაზრდებიც კარგად სწერენ ახლა, ძალიან სხარტად. ახლა სათქმელი ვისაც აქვს რამე, ბედნიერია. მეც ვცადა რაღაც... _ თქვა მერე და უხერხულად გაიღიმა, _ მაგრამ, ეჰ!.. _ ხელი ჩაიქნია, _ წაიკითხე ჩემი მოთხრობა?

კვლავ თავი დვუქნიე.

_ მართლა? _ არ სჯერა რუთის.

_ აკი გეუბნები.

_ მერე...

_ რა ვიცი.

_ ჰო, _ თქვა რუთიმ და მოიღუშა, _ შენგან ტყუილად ქებას არც მოველოდი... მადლობ, გელა, _ მითხრა და ნაღვლიანად გაეღიმა, _ განა ყველა გეტყვის სიმართლეს...

რუთის განწყობილებით ვისარგებლე და ვუთხარი:

_ რუთი, რა შენი საქმე იყო ის... ჰო, კარში დგომა...

რუთის რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ სათქმელი პირზე შეაცივდა. ფართოდ გაღებული თვალები მომაპყრო და ქვედა ტუჩი აუცახცახდა. არ მეგონა, თუ ასე საშინლად ეწყინებოდა, მაგრამ, რაკი დავიწყე, აღარ დავინდე:

_ შენ რაღაცას ეძებ, რუთი... ჰოდა, ეძიე, მეკარეობას კი თავი დაანებე, თუ ძმა ხარ, თავი დაანებე.

რუთი...

არ ვიცოდი, თუ ასე ძალიან ეწყინებოდა...

რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ ქუჩაში შემხვდა და, გაეცინა. მერე, დიდრონი, სევდიანი თვალები მომაპყრო და თხუთმეტი თუ ოცი წლის წინათ მომხდარი ამბავი გაიხსენა:

_ ჩვენები კიეველ ფეხბურთელებს ხვდებოდნენ. „აბა, რუთი“, მითხრა მამამ, „შენ უკვე დიდი ხარ, წამოდი სტადიონზე.“ ალბათ, შენც გამოცდილი გექნება მსგავსი სიხარული. „პატარა ვაჟკაცი“, თქვა დედამ.

რუთი ერთი წუთით გაირინდა, მერე უფრო დაბალი ხმით განაგრძო:

_ თამაშის დამთავრებას წამები აკლდა. მსაჯმა თბილისელთა კარის მახლობლად მიირბინა და მარცხენა ხელი ჰაერში აღმართა. მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი კი მინდორზე მიუთითა. მაყურებლებს თითქოს სუნთქვა შეეკრათ, უეცარმა სიჩუმემ გამოაცა... უცებ, ჩვენს მეკარეს შევხედე და მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ რაღაც სერიოზული ხდებოდა. მამას მკლავში ჩავებლაუჭე და სუნთქვაშეკრული ველოდი ამბის დასასრულს. „პენალტია“, მითხრა მამამ. მერე, მეკარის ელვის უსწრაფესი ნახტომი და მთელმა სტადიონმა ერთი კაცივით ამოისუნთქა, ამოიგმინა. მე თავბრუ დამეხვა. ტრიბუნები მაღლა ატყორცნილი ხელებით ცისაკენ იწევდნენ და ცეცხლივით გიზგიზებდნენ. ირგვლივ ყველაფერი სიხარულად იყო ქცეული. გაბრწყინებული თვალები... ცაში ატყორცნილი ხელები... და, ყველას მზერა შავმაისურიანი გმირისკენ იყო მიპყრობილი. უეცრად, დედა გამახსენდა. საბრალო. ერთი ნამცეცი სიხარული კმაროდა ხოლმე, რომ მუდამ მკერდზე მიჭერილი ხელი ჩამოეშვა და, მერე მთელ დღეს, თვალებგაბრწყინებული, თანატოლივით მხარს მიბამდა, ჩემთან ერთად მხიარულობდა. „ჩემი დედიკო“, გავიფიქრე და ჩვენი მეკარის ბედი შემშურდა.

_ მერე კი, _ თქვა რუთიმ...

_ მერე აღარ გინდა, _ ვუთხარი. სული შემიგუბდა.

რუთი...

იმ საღამოს არ უწვიმია. არც რუთის ამოჩემებულ სიბრალულს შევუწუხებია. მომიჩვენა, რომ რუთიმ რაღაცას მიაგნო, რაღაც თქვა ისეთი, რომ...

ფანჯრის გადაღმა აფუსფუსებული ცაცხვის მათრობელა ბგერებს ყურს ვუგდებდი და ვფიქრობდი შემოდგომის ყვითელ ფოთლებზე, რუთიზე, მის დიდრონ და სევდიან თვალეზე, ვფიქრობდი ადამიანის უპირველეს და უმწვავეს განცდებზე, გზააბნეული, მაგრამ დიდი და კეთილი გულის დაძაბულ ფეთქვაზე და, მერე ისევ შემოდგომის ყვითელ ფოთლებზე და რუთიზე...

იმ საღამოს არ უწვიმია, არც რუთის ამოჩემებულ სიბრალულს შევუწუხებია. იყო შემოდგომა. იყო ფერმკრთალი საღამო და ყვითელი ფოთლები, მაგრამ რუთიმ რაღაც თქვა, თქვა ისეთი, რომ არ შეიძლებოდა, მის შემდეგ მცირე რამ არ შეცვლილიყო...

რუთი...

ვიღაცას რაღაცაზე გული გაუტყდა და, სამშობლოს ზურგი შეაქცია. მერე გავიდა დრო, არცთუ ძალიან დიდი, და მიწამ დაუძახა... დაუძახა ისე, რომ ის „რაღაცა“ აღმოჩნდა ძალიან მცირე და საოცრად უბრალო.

რუთი, ალბათ, გუმანით გრძნობს, რა საზარელია ის ძახილი და გული სიბრალულით ეკუმშება:

_ ცოლოა...

„ცოლოა,“ _ ვფიქრობ მეც და რუთის სევდიანი თვალეები რაღაც ნაცნობს და შორეულს მაგონებს. მერე ისევ ის ცალხელა ბიჭი მორბის და, ფეხბურთელები ვარჯიშობენო, ამბავი მოაქვს. რუთის ერთბაშად ავიწყდება ყველა და ყველაფერი და:

_ რუთი! _ ვიღაცა იძახის ხმამაღლა. არის სურვილი გადარჩენის.

_ რუთი!..

რუთი შემკრთალი და გაოცებული მიყურებს შორიდან...

(დღიურები გადანაწილდება მსახიობებზე შემდეგი თანმიმდევრობით: IV-III-II-I...):

დღიური:

5 მაისი.

ბევრი რამ გამომრჩა ჩასაწერი. ისევ მოგონებების სახით გავიხსენებ, ახლა კი ორი რამის შესახებ მინდა დავწერო:

ამერიკამ ადამიანი გაუშვა კოსმოსში. ამის შესახებ მოკლედ გამოაცხადა მოსკოვმა: აფრინდა და დაფრინდა. თავის მიღწევებზე კი რა კაკანი ატეხეს, მთელი სამყარო შესძრეს, გაგარინი კოლუმბზე მეტად დააფასეს. ახლა კი ვითომ არაფერი, ვითომ მეორედ გაგზავნილი ნაკლები გმირია პირველად გაფრენილზე.

5 ივნისი.

„პლაგიატები“, ალბათ, ამ პარასკევს იქნება დაბეჭდილი, მაგრამ რად გინდა. როგორც ჩანს, არ შეუძლიათ, რომ არ გადააკეთონ.

13 აგვისტო, 1962წ. (ორშაბათი)

დღეს დავწერე ორი პატარა ლექსი: „ზეცას თუ მოვწყდი“ და „ო, ვიცი, ვიცი...“, აგრეთვე, „ნიუ-იორკი: ო, კვი“.

15 აგვისტო, 1962წ. (ოთხშაბათი)

დღეს დავწერე „დარდი“. კიდევ უნდა დავხვეწო.

20 აგვისტო, 1962წ. (ორშაბათი)

დღეს ნატროშვილთან ვიყავი. „მინიატურული ფერიის“ წაკითხვა დაიწყო თუ არა, ოჰ, სულ ფერია, ფერიაო. მერე კიდევ, საგანი ფერიაზე არ შეიძლება ითქვასო. გავაგებინე, სწორედ საგანია, ქანდაკებაზეა ლაპარაკი-მეთქი.

შუა კითხვის დროს ვიღაცეები შემოვიდნენ და მე გარეთ გამომისტუმრეს.

17 აგვისტო.

დავწერე ლექსი „კვლავ საქართველო“.

30 ნოემბერი, 1962წ. (პარასკევი)

დღეს ბესიკომ ხარისხი დაიცვა. ალიკამ და ზაირამ, „Огонёк“-ში შენი „სიზუსტეაო“. რა გახდა ეს „სიზუსტე“, შემოიარა მსოფლიო! ბედის დაცინვაა და მეტი არაფერი.

30 ნოემბერი, 1963წ. (სამშაბათი)

დღეს მუხრანი ვნახე. ორშაბათს მოდიო, არ წამიკითხავს შენი ლექსებიო, მითხრა მას შემდეგ, რაც ჩემი გვარი იკითხა.

„ლიტ. გაზეთშიც“ ვიყავი. ახალი ამბებია. ნატროშვილის ადგილას ნონეშვილს ნიშნავენ. გაზეთი კვირაში სამჯერ გამოვაო. ნატროშვილი „დროშაში“ გადაჰყავთო. ჯანსუღ ჩარკვიანს „დილაში“ ნიშნავენო. ესენი კარლო კობერიძემ მითხრა..

ჩემი წერის თემა სიცოცხლისათვის ბრძოლის თემაა. „მოხეტიალე საფლავიც“ ხომ ამისთვის იბრძვის. შემდეგშიც ყველა ჩემი ნაწერი ამ თემას უნდა დაუკავშირდეს. მე თუ ვიბრძოლებ, ვიბრძოლებ ადამიანების გულგრილობის წინააღმდეგ.

5 მარტი.

ელიზბარმა დღეს დამიძახა. შეშინებულია, გვიჩვილეს „ცეკაში“, უიდეო მოთხრობებს ბეჭდავენო.

მარტი, 1963 წ.

წინა დღეს „ისევ ქალაქისაკენ“ გადავაკეთე. დღეს ელიზბარს მივუტანე. მერე გზაში შემხვდა ელიზბარი, წაუკითხავს. ბრწყინვალედ არის დაწერილიო, შესანიშნავი შედარებებია, ხასიათებიო. ოღონდ, იდეა გამოცვალე და დასაწყისი შეცვალეო.

ღმერთო, ნუ გამაგიჟებ!

4 ოქტომბერი, 1963 წ.

გუშინ რომანის წერა დავიწყე. პირველი თავის ერთი ნაწილი დავწერე. დღეს მე-4 თავი დავამთავრე. ჯერ-ჯერობით კმაყოფილი ვარ. კარგად გამოდის.

ამ საღამოს მე-5 თავი მივუმატე. ზომაზე მეტად მხიარული გამოდის. ძნელია იმ ჩარჩოში ჩაგდება, ადრე რომ ვფიქრობდი.

21 იანვარი, 1964 წ.

დღეს რეზო ინანიშვილმა, შენი „კარგი დღე“ შევიტანეთ ახალგაზრდობის კრებულში. ძალიან მგრძნობიარედ არისო დაწერილი, შენიშნა. მეც ასე ვწერდიო და გოგოებმა მასხრად ამიგდესო. ახლა გადაუწყვეტია სხვანაირად წერა. (უყურე გოგოებს!) არადა, მომწონს მისი მოთხრობები.

ალაზა ხაიაურმა დღეს ლექსები წამიკითხა ზეპირად. სულ სხვა შთაბეჭდილება მქონდა ამ კაცზე მისი ლექსების მიხედვით, მიკვირდა, რატომ უკეთესს არ წერს-მეთქი, და

ხედავ, თურმე, რაც კარგი აქვს, არ დაუბეჭდავს. ძალიან მომეწონა რამდენიმე ლექსი, ძალიან.

15 თებერვალი, 1964 წ.

დღეს ჩემი ძველი ნაწერები მომხვდნენ ხელში.

მრცხვენია მათ რომ ვკითხულობ. კიდევ კარგი, აქა-იქ ძველებშიც გამოჩნდება ხოლმე ისეთი რამ, რაც ახლაც მსიამოვნებს. ერთი ნუგეშია, რამხელაზე გამისწრია წინ ჩემი თავისთვის. ასეთი ნაბიჯებით თუ ვიარე, ალბათ, შორს წავალ...

3 მარტი, 1964 წ.

ელიზბარი შეშინებული იყო გუშინ. ყველაფერს ჩემს თავზე გადატეხავენო, შენი მოწონებულიაო, მეტყვიანო. ჩემი „ისევ ქალაქისაკენ“ ჰქონდა მხედველობაში. ვიღაცეებს უთქვამთ, ბავშვების კოცნა როგორ შეიძლებაო და დაუფრთხიათ. საბრალონი!

(სენტენციები გადანაწილდება I და II მსახიობს შორის):

.....

გენიოსისთვის ძნელად სათქმელია, რა უფრო სჭირდება, დიდი ნიჭი, თუ დიდი სიკეთე.

.....

კაცი ფიქრისთვისაა გაჩენილი... კაცი ფიქრში იზრდება...

.....

ადამიანის მთელი ცხოვრება გადამწყვეტი წუთისთვის სამზადისია...

.....

საკმარისია ერთხელვე ათვალწუნებით შეხედო წვრილმან მოვლენებს, რომ საკუთარი ძალა იგრძნო.

.....

ქალი: ქალი სიმაღლეა. სიმაღლეების დაპყრობაში გწრთვნის.

.....

_ ყველაზე უფრო სასაცილო ან საგულისხმო წუთი შენს ცხოვრებაში?

_ როცა ჩემს ცოლს გამოვუტყდი, გენიოსი ვარ-მეთქი.

.....

ადამიანი მხოლოდ იმ წამში ცოცხლობს თავისი ნამდვილი არსებით, როცა აქვს რაღაც მიზანი.

III მსახიობი:

* * *

შეაერთეთ ერთად ყველა ნაკადული,
ჩანჩქერები მოგუგუნე, მომქუხარი,
შეაერთეთ ცაში ელვა გაფანტული,
ოცნებები შეადუღეთ _
სიცოცხლეზე უფრო მეტად სანუკვარი.

შეაერთეთ, ერთ სიტყვაში გამოხატეთ,
ერთ ღიმილში, ყველა ტკბილი მოგონება,
შეაერთეთ ცის და მიწის სილაზათე,

შეაერთეთ კაცის ძალა და გონება.

შეაერთეთ, ყველაფერი შეათვისეთ,
ქვეყნად ფიფქიც ნუ დარჩება მარტოდ-მარტო...
შეაერთეთ ყველაფერი, ოღონდ, ისე,
ერთმანეთში არცერთი არ დაიკარგოს.

(სენტენციები გადანაწილება IV და II მსახიობს შორის):

.....
ადამიანებს უნდა უყურო, როგორც დიდ ბავშვებს. მაშინ შეიძლება მათი სისუსტეების შეყვარება. ადამიანი მაშინაა ლამაზი, როცა ისეთ რამეს აკეთებს, რომლისგანაც არაფერს გამოელის და მაინც სხვას ეხმარება.

.....
ადამიანებზე ბევრჯერ გამტეხია გული, მაგრამ რატომღაც მიმაჩნია, რომ სიკეთე ბევრად სჭარბობს ბოროტებას. მიხდა, ეს დიდი სიკეთე ყველასთვის შესამჩნევი გავხადო.

.....
რას ვაფასებ ადამიანში? სიკეთეს და სირთულეს. ათასი წინააღმდეგობა უნდა ჰქონდეს გადატანილი ადამიანს, ათას რამეზე უნდა ჰქონდეს გატეხილი გული, თვითონაც ათასი (რასაკვირველია, პატარ-პატარა და უნებლიე) ცოდვა უნდა მიუძღოდეს და ამისთვის საკუთარ თავთან ანგარიში უნდა ჰქონდეს გასწორებული და თუ ამასთან ერთად სიკეთეს უცვლელად შეინარჩუნებს, ასეთი ადამიანი არ შეიძლება, არ გიყვარდეს.

.....
სიყვარულის უნარი მხოლოდ თავისუფალ ადამიანს აქვს. ხოლო, თავისუფლებას მხოლოდ განწმენდილი ადამიანი მოიპოვებს. ასეთ ადამიანს აქვს უნარიც და უფლებაც, ერთის სიყვარულით მეორის სიყვარულს ჩრდილი არ მიაყენოს.

.....
ვინმე რომ კვდება, მგონია, ჩემი ნაწილი კვდება, რადგან კვდება მისი წარმოდგენა ჩემზე.

.....
სიცოცხლეს, ცხოვრებას თავისთავად აზრი არა აქვს, აზრი მხოლოდ მის მარადიულობაშია. და, იმისთვის, რომ მარადისობამ იარსებოს, უნდა იცოცხლო, იცხოვრო.

III მსახიობი:

**დღიური:
13 აპრილი, 1964**

დღეს მწერალთა კავშირში რ. მთვარაძის მოხსენება იყო _ „პროზის სიახლეები“. ილაპარაკა ბიბლიის და ჰაგიოგრაფიული მწერლობის შემოტანაზე შემოვლით (ევროპის), და სადღაც მწუხარებაც გამოთქვა, რომ ეს სწორედ შემოვლით ხდება.

ნ. ჩხეიძემ ასეთი კარგი მოსაზრება გამოსთქვა: ეპოქას სჭირდება მწერალი და თვითონ ქმნის მას. ერთ ეპოქას ერთი დოსტოევსკი და ერთი ტოლსტოი ჰყავსო და ა. შ. მერე ილაპარაკა ჩვენს ახალგაზრდებზე: ნ. დუმბაძეზე, ა. სულაკაურზე, ო. იოსელიანზე და სხვებზე. თქვა, რომ ესენი ყველანი კარგები არიან და (მათ შორის დიდი განსხვავება ამ მხრივ არაა) და სწორედ ამიტომაც რომ ჰქმნიან ლიტერატურულ დონეს. ალბათ, აწი გამოჩნდება ვიღაც, ვინც გააერთიანებს ამ კარგს და მათზე მაღლა დადგებაო.

მე პირადად შემიმჩნევია, რომ ესენი ერთმანეთის კარგს არ სდარაჯობენ და შემოქმედებითად არ იყენებენ. აქედან ასეთი აზრი: იქნებ ამიტომ, სწორედ ის უნდა დადგეს მათზე მაღლა, ვინც მათ სიკეთეს გამოიყენებს (ყველასას). ასეთი მისია, იქნებ მე მაქვს დაკისრებული. მე ხომ მათი ნაწერები მომწონს და შემოქმედებით გამოყენებაზე უარს არ ვამბობ. ეს ჩემს ნაწერებს ეტყობათ (ჩემდა უნებურად). თუ ეს მისია ჩემია, მე არ დავკარგავ (არ გამომეპარება), თუ არაა, მაშინ რა მეთქმის. ვგრძნობ კი რომ ჩემია. თუმცა, ეს შეგრძნების ფაქტი თავისთავად ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან ყველა რაღაცას გრძნობს და ალბათ, ეჩვენება, რომ თვითონაა ამისთვის მოწოდებული.

ჟუჟუნაც ჩემთან ერთად იყო სხდომაზე.

I მსახიობი:

15 აპრილი, 1964

„საქართველოს ქალში“ მე-6 ნომრისთვის დამპირდნენ „უცნობი გოგონას“ დასტამბვას.

დღეს თბილისის „დინამომ“ ძალიან გამანერვიულა, კინალამ წავაგეთ, მაგრამ მეტრეველმა 11-მეტრიანი გაიტანა და მე და „დინამო“ ორივე გადავრჩით. 10-იდან 9 ქულა კარგია, მაგრამ არც სხვა გუნდებს აქვს საქმე ნაკლებად.

III მსახიობი:

15 მაისი, 1964

დღეს მწერალთა კავშირის კლუბში წაიკითხეს ოთხი მოხსენება:

1. კაფკა
2. კამიუ
3. ჯოისი
4. სარტრი.

შევეცდები რაღაც ასოციაციების საშუალებით ჩავწერო. ამ მწერლებიდან მხოლოდ კაფკას და სარტრის შესახებ მოვკარი ყური ამ ერთი თვის წინ რაღაცას. გამოდის, რომ გიგანტების არსებობის შესახებ არაფერი ვიცოდი. რას იზამ, ღმერთმა იცის, ჩემი ბრალი არაა.

კაფკა: ადამიანი ეძებს თავის თავს. არიან უსინდისოები, მშიშრები და სხვები.

სარტრი: ადამიანი არსებობს, მაგრამ მან უნდა იპოვნოს თავისი არსება, თავისი მე.

კამიუ: ადამიანისთვის არსებობს მხოლოდ „დღეს“. მისთვის წარსული არაა არსებითი. არც მომავალი. საქმე ისაა, უნდა შევამოკლოთ, თუ გავახანგრძლივოთ ეს არსებობა.

მე: რაკი არსებობს „დღეს“, მთავარია, გავაკეთოთ ის, რაც დღეს შეგვიძლია. მე არა ვარ მე, რადგან მე ყოველ წუთს ვიცვლები. ჩემთვის მხოლოდ მომენტია „ამ წუთს“ და მე ამ წუთს უნდა ვიარსებო.

კამიუ: უნდა ვუყუროთ ზიზღით ყველაფერს, თუ გვინდა ზიზღი დავძლიოთ. ყველაფერი აბსურდია და მაშინ ვართ თავისუფალი.

მე: ეს უნდა იცოდეს და გაითვალისწინო, და მაინც, უნდა ეძიო კარგი, სიკეთე აზრიანი. ჩემი ფილოსოფიაა სიკეთე, სიკეთის რწმენა. ჩემი კრედიტია: მომავალში „ხელოვნური“ არსებობა უნდა გავიხანგრძლივოთ სხვათა გონებაში არსებობით.

კამიუ: მიზანი არ არსებობს, რადგან „ხვალ“ არაა „დღეს“. არსებობს მხოლოდ ეს წამი..

მე: ადამიანი მხოლოდ იმ წამში ცოცხლობს თავისი ნამდვილი არსებობით, როცა აქვს რაღაც მიზანი.

საჭიროა ამ ოთხი მწერლის სისტემათა გათვალისწინება და არა მათზე სავსებით დაყრდნობა.

მე: არ არსებობს ყოფილი „მე“. არც მომავალი „მე“. არსებობს მხოლოდ „მე“ _ ყარამან კიკვიძე. ზოგადად უფრო ნაკლებად მტკივნეულია. არ უნდა დავაქუცმაცოთ კონკრეტული „მე“. ბოლოსდაბოლოს, მე ვიქნები ყველგან, და მე ვიქნები ყველა. ნუ კითხავთ ყოველ წამს ერთად ყველას და ყველაფერს. კონკრეტული მომენტის გარეშე არც შეიძლება, თორემ, სწორედ მაშინ იქნება ნამდვილი ქაოსი... ეს არის, ალბათ, იგივე მათემატიკის სტატიკურობა.

თითოეულ სტატიკურ მომენტს ნუ მოჰკითხავთ დინამიურობას. უფრო სწორედ, ნუ ვაქუცმაცებთ დინამიურს სატატიკურებად. ნუ ვცდილობთ მათ საერთო ხასიათში მოქცევას.

იქნებ, ამ მწერლების ტრაგედია ისაა, რომ სადღაც ცდებიან. იქნებ მათემატიკურმა მეთოდებმა გვიშველოს. იქნებ ჩემი ძველი შეხედულებები დამეხმაროს დროსა და სივრცეზე, სადღაც უნდა მქონდეს ჩაწერილნი.

ბოლოსდაბოლოს, იქნებ მთელი ფილოსოფია მათემატიკაა?

მე: სიზიფის ლოდი _ მევალება შეუძლებელი გავაკეთო. იმედი არა მაქვს, რომ შევასრულებ. მე კი ყოველ წუთში შეუძლებელს ვაკეთებ.

I მსახიობი:

.....

ვინ იცის, რამდენი აიღებს გულგრილად ხელში უცნობი ავტორის მოთხრობების კრებულს. ეგ არაფერი, მთავარია, წიგნის წაკითხვის შემდეგ არ დარჩეს მკითხველი გულგრილი და უკმაყოფილო.

ადამიანებს გაცილებით მეტი სითბო აქვთ ერთმანეთისთვის შენახული, ვიდრე მათ ამის შესახებ იციან. მე ასე მჯერა, ეს წიგნიც ამ რწმენით დაიწერა.

III მსახიობი:

.....

საქმე ისაა, დიდი რა კეთდება ქვეყანაზე და იმ დიდს ვინ და რა გულით აკეთებს. დიდი კი მარტო მეცნიერებაში და ხელოვნებაში არ კეთდება. დიდი ყველაფერია, რასაც სხვისგან განსხვავებით მთელი გულით და საღი გონებით გააკეთებ, სულერთია, ეს მთელი სამყაროსთვის იქნება, თუ შენი საყვარელი ადამიანისთვის.

II მსახიობი:

* * *

უნდა ვესწრაფვოთ, ვემიოთ უნდა,
ო, უსასრულო გზების ძიებავ,
არ გაგვიმართლო არც როდის, თუნდა,
წამით შეკრთომაც არ შეიძლება.

თორემ გაგვიტანს დრო და დაგვმარხავს,
წამოგვეწევა დრო და გაგვრიყავს...
თუ მზე მოკვდება, მზე რას დავარქვით!..
იქნებ... ახალი გველის პლანეტა!

აზრი აქვს მხოლოდ უცნობს და უთქმელს,
მხოლოდ დასაწყისს და განახლებას,
სხვა ყოველივე ჩაივლის უქმად,
როგორც უნიჭო პოეტის ქება.

I მსახიობი:

.....

დროა ერთადერთი ყველაფერი ღირსეულის მფარველი და დრო ყველას და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს.

IV მსახიობი:

* * *

წუთები, მხოლოდ წუთები ბედთან
შეხვედრის _ ქარის ფრთები და ქროლვა.
ღმერთო მაღალო, დიდება შენდა,
რამეთუ წუთით შემიტკბობ ხოლმე.

რამეთუ ქროლვა დასაბამია
დროის და ფიქრის არგასრულების.
ჯერ არის _ რწმენა ჰკლავს ადამიანს,
მერე იმედი აშთობს სრულებით.

შენ გხედავ ნისლში, შენ გხედავ ქარში,
როცა ძალიან მიჭირს _ ყოველთვის,
როცა მტანჯველი ფიქრები ამშლის,
ყოველთვის, ხსნაო ჩემო, ყოველთვის...

რამეთუ თრთოლვაც დასაბამია
ხსნის, არამღვრევის, არგამრუდების,
და...
ვინ სად მიდის,
და ვის რა მიაქვს,
ვინ ზღვარს გავცდებით,
ვინ ვუბრუნდებით.

I მსახიობი:

* * *

სინამდვილე რაღაცით ჰგავდა სიზმარს, მაგრამ სიზმარი იყო უფრო ცხადი, ვიდრე სინამდვილე. დრომ, უკვე განვლილმა თუ განუცდელმა წუთებმა, თითქოს დაკარგეს თავიანთი პირვანდელი მნიშვნელობა და რაღაც ახალი უჩვეულო აზრი შეიძინეს. ბექას ახლა ერთნაირი ძალით შეეძლო განეცადა აწმყო თუ წარსული უკვე განცდილი, თუ ჯერაც განუცდელი წუთები.

_ ვაიმე, რა დღეში ხარ, შვილო!

_ რა მიჭირს დეიდა პელო, აბა, მე რა მიჭირს!... მაკა როგორ არის?

_ ბექას ვახლავართ!
 _ თავი დამანებე, ჯიბილო, მე უკვე დიდი ვარ!..
 „მამას რომ იმ წუთში ჩიბუხი პირში არ ჰქონოდა, ახლა ცოცხალი იქნებოდა...“ ბექას საფეთქლები უხურდა. სირბილისაგან გული ამოვარდნოდა და გამალებით სუნთქავდა.
 „მამას რომ უღლისთვის ტაბიკი მაშინვე გამოეცვალა...“
 „დედას რომ არ ეთქვა, ტაბიკია გამოსაცვლელო...“
 „ყველაფერს აზრი აქვს, ყველაფერს... იმასაც, რაც მოხდა, იმასაც, რაც მოხდება...“
 მერე ანგარიში უცემლად რამდენჯერმე გაიმეორა: „ყველაფერს, ყველაფერს, ყველაფერს...“
 სრულყოფაზე რაღაც უფრო მეტია სიცოცხლე, როცა ყოველი წამი ბედნიერების წინათგრძნობად მიგაჩნია.
 ბექა ახლა ყოველ წუთს ისე აღიქვამდა, როგორც ბედით დაკანონებულ აუცილებლობას.

III მსახიობი:

ეპილოგი

შენ მართლა ბევრს ფიქრობ, მამუკა, მაგრამ მე ფიქრს არ დაგიშლი.
 იფიქრე.
 შენ რაღაცას ეძებ.
 კარგია, რომ ყველაფერს, ლამაზსა და კეთილს, ერთ სახელს არქმევ.
 თაია...
 ლამაზი სახელია თაია.
 მაგრამ კიდეც უფრო ლამაზია მისი ნამდვილი სახელი.
 შენ ამას სულ მალე გაიგებ, მამუკა.
 შენ იპოვი.
 იპოვი თაიას.
 ის მართლაც ყველა ლამაზსა და კეთილშია, მაგრამ ის ერთია, მამუკა.
 ის ერთია, როგორც შენი გზა, შენი სურვილი...
 შენ გაიგებ, რომ ის მართლაც არსებობს, და მაშინ ასე აღარ შეგაკართობს შემთხვევა.
 დიდ გზას, დიდ სურვილებს ყველაზე ნაკლებად აფიქრებთ შემთხვევა.
 დიდი ის არის, რაც ნამდვილად შენია, მამუკა.
 მე არ განვმარტავ შენს სიმბოლოებს, არ დავარქმევ მათ ნამდვილ სახელებს. ხიდი, მდინარე, სოფელი, ბუტუ, ლუკა, ერასტი ბაბუა, თაია...
 შენ გაიზრდები და თვითონ დაარქმევ მათ ნამდვილ სახელებს.

II მსახიობი:

შოთა ქავთარაძე:

...როგორც ყოველთვის, ასეთ შემთხვევაში ჩნდება მტკივნეული კითხვა _ რამდენად გაუძლო მწერლის შემოქმედებამ დროს, რამდენად საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს ის გართულებული ფსიქიკის, ათასგვარი ინფორმაციით გაჯერებული დღევანდელი საზოგადოებისთვის... დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ყარამან კიკვიძის ნაწარმოებებმა არათუ გაუძლეს დროს, უფრო აქტუალურნიც გახდნენ როგორც წმინდა შემოქმედებითი დონით, ისე მსოფლმხედველობით, მრწამსით, ადამიანებისადმი დამოკიდებულებით.

IV მსახიობი:

.....

ხანდახან ვფიქრობ, მზე ხმაურით უნდა ამოდიოდეს, უზარმაზარი გრიალით, გამაყრუებელი ზათქით... და საოცარია, რომ ასე არ ხდება...

I მსახიობი:

* * *

მე ახლა ვიცი, ვინ ხარ შენ, აზა დათუსანო!

შენ გაკლდა რწმენა, იმიტომ, რომ არ იცოდი, რა იყო ურწმენობა. გაკლდა იმედი _ არ იცნობდი უიმედობას. არ ცოცხლობდი _ არ იცოდი სიკვდილის შიში.

შენ ახლა სულ სხვა თვალთ უყურებ სამყაროს, შენ ხედავ, რასაც წინათ ვერ ამჩნევდი... შენ გესმის... იცი... გსურს... გიყვარს... შენ ახლა იცი, ვინ ხარ და რა ხარ და, გშურს, ძალიან გშურს ამხელა ბედნიერება მხოლოდ შენთვის... _ გინდა, რომ ყველას ჰქონდეს თავისი გზა, თავისი სურვილი...